

გილოცავთ დაგდაბ შობა-ახალ წელს!

დიდაბული ტრადიცია ეფექტიანად ბრძელდება



კლასგარეშე მუშაობა. როგორც საბაკვათილო პროცესზე მათია

საშუალო განათლება მოზარდს საბაზო ცოდნას აძლევს, ხოლო კლასგარეშე მუშაობა არანაკლებ ეფექტიანია, უფრო აფართოებს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით თვალსაზრისს, აძლიერებს უნარებს, ინტერესს, ფანტაზიას, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მოტივაციის სფეროს.

ეს პედაგოგიკის ამოსავალი პრინციპებია. განათლების სისტემაში ადრე ამ ფუნქციას პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ასრუ-

და იგი ხომ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში აღიზარდა. ამ ლიბოჩაყრილ ტრადიციას უფრო ნაყოფიერად, უფრო ეფექტიანად აგრძელებს სამაგალითო პედაგოგი, თბილისის მოსწავლეთა სახლის შემოქმედი დირექტორი, მანანა წნორიაშვილი. იგი უნარიანად ხელმძღვანელობს დედაქალაქის რაიონულ ფილიალებს. ვთხოვე, შეერჩია ერთ-ერთი მონინავე რაიონის წარმატებული ფილიალი.

დაუფიქრებლად, უყოყმანოდ დამისახელა ისნის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. ამისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ ქალბატონო მანანა.

ისნის ფილიალი წარმოადგენს დამატებით, არაფორმალური განათლების დაწესებულებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს სწორად განკარგოს თავისუფალი დრო, მოახდინოს თვითრეალიზაცია და ინტეგრირდეს საზოგადოებაში.

ეს სახლი მუშაობს ხუთი მიმართულებით, ესენია: საგნობრივი ქართული ენა და ლიტ. ინგლისური ენა, რუსული ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია-



ბიოლოგია); სახელოვნებო (სახვითი და გამოყენებითი ხელნერე, თეატრი, საესტრადო, ხალხური საკრავები და სიმღერა, ფორტეპიანო, გიტარა, ქართული ცეკვა, ტანვარჯიშის ქორეოგრაფია); სპორტული (კარატე, მხატვრული ტანვარჯიში,ჭადრაკი); სახელობო (კომპიუტერის შეკეთების სწ. ნერე); საკულტო (ლიტ.კლუბი „ალტერ ეგო“, ხელოვნების მოყვ.კლუბი).

გადმოცემით, ადრე, ეს დენესებულება ინოვებოდა, როგორც მუშა-ახალგაზრდული ტექნიკური სადგური, რომელიც 1934 წლიდან 1950 წლამდე ფუნქციონებდა. შემდგომ სახელწოდება შეეცვალა და ინოვებოდა პიონერთა და მოსწავლეთა სახლი. 1990 წლებიდან კიდევ შეეცვალა სახელწოდება და დღეს ჰქვია თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისნის ფილიალი.

დღეისათვის ისნის ფილიალს ჰყავს 7 სერტიფიცირებული პედაგოგი: ბელა მირგოშია (ფიზიკა), ბელა გაბათაშვილი (ქიმია-ბიოლოგია). ეკა ფანჩულიძე (ქართული ენა და ლიტერატურა), ხათუნა გორდაშვილი და მარიამ თეთრაული (ინგლისური ენა) ანა კაპანაძე (მათემატიკა), ჟუკა ტულუში (ხელოვნება) და ერთი დოქტორანტი ნუნუ ბალავაძე (ქართული ენა და ლიტერატურა).

ბოლო 40 წლის მანძილზე ისნის ფილიალში მრავალი ახალგაზრდა აღიზარდა. სახვითი ხელოვნების წრეზე აღზრდილებიდან 28 მხატვართა კავშირის წევრი გახდა, ეს კი დაკავშირებულია მხატვარ, რობერტ წერსესოვის სახელთან. მრავალი შემოქმედებითი კონკურსის ლაურეატები არიან: ანსამბლი „ერთსულოვნება“ პედაგოგი და ლოტბარი, პავლე ჭუმბურიძე. კონკურსის „მზიანი საქართველოს“ გრან-პრის

მფლობელი ანსამბლი.

საესტრადო-ვოკალური ანსამბლი „დო, რე, მი“, ხელმძღვანელი ჟუკა ტულუში, მრავალი ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებულია, კერძოდ ალსანიშნავია ბათუმის ფესტივალი „ოქროს ვარსკვლავი“, სადაც ანსამბლის მონაწილეებმა I, II და III ადგილები მოიპოვეს. ასევე მინდა აღვნიშნოთ ონლაინ კონკურსში, რომელიც ჩატარდა ამერიკაში, სახელწოდებით „საქართველო-ამერიკის მეკვიდრეობის დღეები“, მათი მონაწილეობა.

თეატრი „თაობა“, რეჟისორი ირინე შიუკაშვილი, საინტერესო სპექტაკლებით წარმოადგენილი ბავშვთა თეატრი, უკვე 25 წლისაა და ამ პერიოდის განმავლობაში მრავალ კონკურსებში აქვთ მონაწილეობა მიღებული, განსაკუთრებით ალსანიშნავია ფესტივალი „მზიანი საქართველოს“ ფარგლებში სპექტაკლით „ქოლგების ქალაქი“. მთელი დასი საუკეთესო შედეგებით დაბრუნდა.

სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მსახიობები: მარიამ ქვაჭრელიძე, საბა მურუსიძე, ლიზი შიუკაშვილი, მარიამ ნამგალაძე, თამარ მეტრეველი, სალი დარგუაშვილი, ნუცა ძელური, ანანო ტატიშვილი, ნიკოლოზ მახარაშვილი. სწორედ, ეს ბავშვებია, რომლებსაც გადანყვეტილი აქვთ მომავალი დაუკავშირონ თეატრის სცენას. სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეები არიან:



ლეილა ვადაჭკორია ახლო წელი!

მოვრთეთ დიდი ნაძვისხე და ჩიჩილაკიც მზად არი, მეკვლე კართან გველოდება, თოვლის პაპაც აქ არის.

მოდით მალე, რაღას უცდი, მოდი, წელი ახლო. გოზინაყს ხომ ბევრს მოგართმევთ, კანფეტებს – ვერ დათვალთ.

არ მოგაკლებთ ცეკვა-თამაშს, ლექსებს ნარაფერადებს, ხმატკბილ სიმღერებს გიმღერებთ, გულს გაგიფერადებთ.

ჩემპიონატში მონაწილეობდა კარატეს 4 მოსწავლე და გაიმარჯვეს, ესენია: ემილ სიმონიანი, გიორგი და ნიკოლოზ ჯლანტიაშვილები, ცოტნე კობაძე. ჭადრაკის პედაგოგი ნინო ოთიაშვილი სათანოდო ტურნირებში, რომელიც ტარდება ჭადრაკის სასახლეში, სისტემურად მონაწილეობენ ისნის მოსწავლეები. ჩვენი სურვილია, უფრო მეტ მოსწავლეს მოვემსახუროთ

ლებდა, დღეს და კარგა ხანია ამ საქმეს უძღვებიან მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეები, თბილისის მოსწავლეთა სახლი თავისი რაიონული ფილიალებით.

ვინ მოთვლის, რამდენი სახელოვანი მეცნიერი და ხელოვნების მუშაკი დაუფრთხანებიათ. ზემონათქვამის დასტურად მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ განზოგადების მიზნით. დანარჩენზე მკითხველმა იფიქროს. ვის არ გაუგონია გენიალური მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის რამაზ ჩხიკვაძის სახელი. ვინ არ მოხიბლულა მისი უბადლო ხელოვნებით.

ნიჭიერმა შემოქმედმა დირექტორმა ჯულიეტა დანელიამ გამაცნო ამ სახლში მჩქეფარე სასწავლო-აღმზრდებლობითი პროცესის მიმდინარეობა, გაკეთებული და გასაკეთებელი საქმიანობა, ახლო მომავლის მიზნები და ამოცანები.

უცვლელად გთავაზობთ მის ინფორმაციას.

რას მივალნიეთ და რისი ბაკვათია ბავშვს?

ა(ა)იბ ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!



მხატვრული ტანვარჯიშში, მწვრთნელ და პედაგოგი ნატალია ფეიქრიშვილი, ბათუმის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული მოსწავლეები: ანასტასია იდუაშვილი - 1 ოქროს, 1 ბრინჯაოს მედალი, ანა-მარია ჯობავა 1 ოქროს, 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაოს მედალი; ლანა ტრეგუბოვა 1 ოქროსმედალი, ნუცა ბულავრიშვილი 1 ვერცხლის მედალი.

გოჯურიუ კარატე დოს (სენსეი მერაბ ტურაშვილი) საქართველოს

და მეტ ახალგაზრდას მივცეთ საზოგადოებაში ინტეგრირებისა და დამატებითი განათლების საშუალება.

თავმდაბლობის მიზეზით ბევრი რამ არ თქმულა.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, მეგობრებო, ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ!

ბორის მიშველაძე, განათლების დოქტორი

პოეტი, რობელი ათენში მასწავლებლობს

გაგაცნობთ ქართველ პოეტს, რომელიც საბერძნეთში პედაგოგად მოღვაწეობს. ეს თავისთავად ნიშნავს: ბერძნული ენა ბერძენზე არანაკლებად იცი. **მადონა ჯავახიშვილი ნაირა ბერიანი** ქალიშვილია, ნაირა კი - თბილისის 207-ე სკოლის უფროსი მასწავლებელი. მე და ნაირა კოლეგები ვართ. წლების მანძილზე ერთად ვმუშაობდით ყოფილ მე-15 სკოლაში. მან გამოზარდა ისეთი ქალიშვილი, რომელზეც იტყვიან: ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასა.



შენ რომ არნივი იხილე ფრთებმოკვეთილი გდიოა, ყვავ-ყორანს ეფერებოდა, ჩვენს მეგობრებად თვლიანო.

ვერ მოვუფრთხილდით სამშობლოს, არნივი ითრევეს მხარსაო, ვერ ვივაჟუკაცეთ დროულად, დავმსგავსებოვართ მხდალსაო.

სულ ლუკმა-ლუკმა უგდებენ ყორანს ხახაში მართვესო, სამშობლოს რომ უღალატებს, რა ვუთხრა ისეთ ქართველსო?!

სისხლი დაგვიდის ტანიდან, წვეთ-წვეთად ჩამოვიცალეთ, იმ ყორანს დასამარცხებლად ვერა და ვერ მოვიცალეთ.

შენ რომ იგლოვე არნივი, ახლა მე ვგლოვობ, ვაჟაო, ციხე შიგნიდან რომ ტყდება, რად უნდა დიდი განსჯაო?.

მე ვარ ქართველი

ვაზის ლერწივი ვარ, მე ვარ ვენახი, თასში დასხმული ვაზის ნაჟური, მე ქართველი ვარ, შენ რა შემარქვი, რომ გეცოტავა ჩემი მამული?

ველზე ია ვარ თვალცვარიანი, მთაში მყვირალი ირემი, არჩვი, მე ქართველი ვარ დასაბამიდან, შენ ვინ გგონივარ ან რა დამარქვი?

კიდობანი ვარ კაცობრიობის, გაცოცხლებული ლაზარეს ენა, მე ქართველი ვარ, არ შეგეშალოს და არ გაგინწყრეს ანაზად ზენა.

მე თავთუხი ვარ,სავსე ხორბალი, დამპურებული, სიცოხლის წყარო, მაშ, როგორ ბედავ, ზნე შემიცვალო, გადამაჯიშო, გადამაგვარო?

მე აკვანი ვარ ცოდნის და სიბრძნის, ათასწლეულთა დასაბამიდან, მე ვარსკვლავი ვარ იმედის,ციცქრის, პირქუშო ღამევე, შენ აქ რა გინდა?

მე სისხლის წვეთზე ფესვამოყრილი, შთამომავალი გახლავარ გმირთა, ასი სიცოცხლე რომ მომიცეს ღმერთმა ასჯერ ქართველად მოვიდე მინდა.

მტერს არ დავანებოთ საქართველო

ისე შემოჰკარით გრდემლს და რკინას, ხმამ რომ ყველა ძარღვში დამიაროს, ძალა მოიკრიბოს ბებერ მუხამ, ღმერთმა დაგვლოცოს და გვაზიაროს

ისე ამიმღერდით, ქართველებო, სიმი არ ჩანყვიტოთ მაგ ფანდურის, მერე აღდგურდეთ ერთმანეთი, იყოს ალავერდი, ვახტანგური.

ისე ახმაურდით, ვით რიონი, ანდა თურგი მთებზე დახლართული ოლონდ თქვენი ხმები გამაგონეთ, სული დამანახეთ კვლავ ქართული.

შინდისფერი დაჰკრავს ივერთ ზეცას, იქნებ წამომდგარა დადიანი, ძმათა სიყვარული დაანახვეთ, უკან არ გაუშვათ დარდიანი.

სისხლი აყივლდეს და ახმაურდეს, ქართულ გენში ცეცხლი გაატაროს, მტერი არასოდეს გამიხაროთ, მიწის მტკაველიც არ გაატანოთ!

ისევ გველოდება იალბუზი, ქართლის გული უნდა გავამრთელოთ, „მრავალჭამიერი“ შემოვძახოთ, მტერს არ დავანებოთ საქართველო!”

სიყვარულისთვის შექმნა ღმერთმა ადამიანი

განთიადისას ანგელოზი ქნარზე უკრავდა, ცას მტრედისფერი შემოეცვა ტანზე მანტია. მზემ მთებს თითები შეუცურა ჩამოშლილ თმებში, მათა კალთებში სიყვარული ვერ ჩაატია.

გადმოინაცვლა მთის წვერიდან, ჩამოჰყვა დაბლობს, ველზე ყვავივლებს დაუკოცნა ნაზი ფოთოლი. ყური მივუგდე-ბალის ბოლოს ბულბული გალობს, ხელმოცარული მიჯნურივით, სულით ობოლი.

ვარდის ბუჩქს მკლავზე მიენვინა კვირტი პატარა, ხავერდის ტუჩებს უკოცინდა ცელქი ნიავი. თითქოს ცხოვრებამ ეკლიანი გზებით ატარა და ეს ალერსიც ალბათ იყო უკვე გვიანი.

ზღვა სარკედ იქცა, აციმციმდენენ წყალზე სხივები, ხან დაედვენენ ნაპირისკენ გაქცეულ ტალღას. სანაპიროზე სეირნობდნენ დიდხანს წყვილები, ბედნიერებას არ სჩვევია გრძნობებით დაღლა.

სანამდის ღამე დაიფარებს ბინდისფერ საბანს, ჯერ კიდევ დრო გაქვს და არ არის ძალზე გვიანი. ყური მიუგდე, ანგელოზი გიყვება ამბავს: „სიყვარულისთვის შექმნა ღმერთმა ადამიანი“.

მოდით, უფრო ახლოს გავიცნოთ **მადონა ჯავახიშვილი**. თბილისში ეზიარა ზოგადად და უმალეს განათლებას. ჰყავს სამი შვილი და ორი შვილიშვილი. 16 წელია იმყოფება საბერძნეთში. ამჟამად მუშაობს ათენის 50-ე საჯარო სკოლაში, ქართულის პედაგოგად. ამავე დროს არის ფსიქოლოგი. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და ათენის „ქართული კლუბის წევრი“. ასე რომ, ემსახურება ქართველი და ბერძენი ხალხების მეგობრობას. ლექსების ორი კრებულის „**სიმართლეს ვისვრი ჩემი კალამის ყველა ლულიდან**“ და „**ლურჯი სავანის**“ ავტორია. კიდევ დავუმატოთ რომანი „**ბორიენი**“. ასევე გახლავთ ოთხი წიგნის თანაავტორი. ავანსად რაიმე ეპითეტები არ სჭირდება, მისი „მსაჯულია“ მკითხველი.

ხილი იხილე და მებაღე მერე იკითხო. გთავაზობთ რამდენიმე ლექსს.

რედაქტორი

მადონა ჯავახიშვილი

წერილი ვაჟა-ფშაველას

„შენ რომ არნივი იხილე, ყორანსგან ნანამ-ნათრევი, ახლა იმ ყორანს ესტუმრა ბუდეში ბევრი ქართველი.

ვაი, რა გითხრა, ვაჟაო, ისევ თავს გვესხმის ძერაო, ქართველად ყოფნა ტვირთია, თუ ჩვენი ბედისწერაო?

იუმორის კუთხე

მერიე ლექსიკონი

ვისაც ერქვა მექრთამე, თურმე ყოფილა ლობისტი, ვინც ლობისტობა იკისრა, ის ყველა გახდა ბომბისტი. კიდევ იცვალა ფუნქცია, დღეს ჰქვია მას კორუფცია, ზედადაც არ შემოგხედავს, თუ არ მიეცი უნცია.

ელგებებემ აქცია უზნეობად აქცია, ის არ არის მთავარი : აცვია – არ აცვია. ეს ჩვენი წვიპურტები დროის ამსახველია, მას ვერვინ აკრძალავს, ვერც მიხო, ვერც მელია. ბომბისტი, ჩემო ხატია, ყოფილა ომის პარტია, ბომბისტობა კი, ნათია, იმათ სლოგანზე ხატია.

თუკი კორუფციონერსა დღეს შეარქვეს ლობისტი, პარლამენტარი კი არა, არის სულგუნ-დომისტი.

გამოხატვის უფლება

ათასჯერ ქცევის თავისუფლება, ერთხელაც არა მოვალეობა – ვინლა გასწავლათ, ვინ გაპატიათ, განა, ეს არის დემოკრატია?!

ასე ეგონა ბანდიტ ბრეივიკს, თუმცა გაება მალე მახეში. სამოცი ბავშვის ამოხოცვისთვის თავი ამოყო რკინის ბადეში.

ღებატები

კახელი და იმერელი შეკამათდნენ: – ცოლიკაური რქანთელს ჯობია – რას ამბობ, ჯო! – იმერეთის ბუნება უკეთესია, – რას ამბობ, ჯო! – შენზე მეტს ყოველთვის დავლევ, – რას ამბობ, ჯო! – კახელები ამერიკელების მოდგმა არიან, – რას ამბობ, ჯო! – გადაირია კახელი. – მა რა, სულ ჯო, ჯოს რომ იძახი, ჯო ხომ ამერიკაში მოდური სახელია.

საახალწლო წინაქები

ენაჭარტალა ყუთებში

ყოველღე ტელყუთში ზის თავხედი ენაჭარტალა, არავის არ მოუსმინა, სიტყვა არავის აცალა, პარლამენტარნი არიან ქალობითა თუ კაცობით, ნუთუ ენა არ ეტკინათ ამდენი ენაჭარტლობით, ყველას, ყველას ერთნაირად თმა-წვერი აქვთ გაწენილი, ზოგსა ხმა დაბოხებია, ზოგს კი ხმა აქვს ჩახლენილი.

პოლიტიკანი

მუდამ ხმაურობს, ღნავის და ყვირის, თითქოს რაღაცას აკეთებს ანი, მისი შექმნილი რაიმე საქმე არვის უნახავს, ამდენი ხანი.

ხან აქ არის და ხანაც იქ არის, აღარ დატოვა ხონი თუ ვანი, გამოიცვალა რამდენჯერ კანი, ამიტომ არის პოლიტიკანი.

„ასტია“ და „ზაქია“

ეს პიროვნება კაცია, თუ მართლა ლიბერასტია, არ უნდა ღიზა, ნასტია, მას უნდა პედარასტია. გაყვირის ნაცი- ნაცია, ეს მისი მოტივაცია. ამას არა სჯობს იმდეროს: „ბუბუ“ და „ბასტი-ბასტია“?

პრეზიდენტი?

შენ ქვეყნის პრეზიდენტი ხარ? დახტუნავ, როგორც კალია. არ იცი ჭკუა, სიღინჯე პრეზიდენტების ვალია?

აბა, შეხედე, ყმანვილო, რა დინჯი არის პუტინი, არ დარბის, როგორც კლოუნი, ან თუნდაც მისტერ პიტკინი.

თუ

თუ ეს ვქენით, თუ ის ვქენით, თუ ავიღეთ ბასტიონი, თუ ვაჯობეთ მეტოქეებს, ხომ გავხდებით ჩემპიონი?

ჰეი, ძმაო, ნუ ტრახახობ, ყბედობასა დროზე მორჩი, რალად გვინდა ამდენი თუ? თუ მეგრულად არის გოჭი.

ახალი პარტია

ახლა მეტად მოდაშია „ევროპულის“ შერქმევა, კიდევ უკეთესია, თუკი „ნატო“ ერქმევა. მეც პარტიის შექმნა მინდა, ვისაც უნდა ეწამოს, თხა თხაზედა უარესი, მართლაც, მგელმა შეჭამოს.

ზოგი მართლა პარტიაა, ეს გულზე ახატია, ზოგი მართლა ფარჩაკია და ბაჯბაჯა კვატია. თუკი „გირჩი“ შეიძლება, თუნდაც ტახახმელა, მაშინ ვინლა დამიშლის, ვარქვა „კურკანტელა“.

ყველა სფეროში მაღალ შედეგებზე ორიენტირებული



მუდამ იყო ეს სკოლა ვაკე-საბურთალოში მონაწილე და ლიდერი. „შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა, დარჩენენ მხნე, დარჩენენ მღერალი, მოყვარე თავის სკოლისა“ - ეს შეცვლილი სტრიქონები გრიგოლ ორბელიანისა ზუსტად მიესადაგება ამ სკოლის შემოქმედ დირექტორს, **მედეა ქოქრაშვილს**, მის გამობრძედილი მოადგილეს, **რუსუდან ჯავახიშვილს**, შეხმატებულად მოღვაწე ძლიერ პედაგოგებს, ბედნიერია ის სკოლა, რომელსაც ასეთი პროფესიონალი კადრები ჰყავს. უფრო ქვემოთ მოგიხსენებთ იმაზე, თუ როგორი კვალიფიციური კადრები მოღვაწეობენ აქ. როგორ უწყობენ ხელს პედაგოგთა კარიერულ წინსვლას.

ახლა ვისაუბროთ ადებულ სიმალეზე და მომავლის ამოცანებზე. უცვლელად გთავაზობთ სკოლიდან მიღებულ ინფორმაციას.

როგორ გვესაუბროს მომავალი

მიმდინარე სასწავლო წელს სრულ მზადყოფნაში შევხვდით, ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში სკოლამ განაახლა და წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, განაახლა შინაგანსწავლი, მთავრობის დადგენილების საფუძველზე გაუქმებული კოვიდრეგულაციები

კიდევ ერთი დამატებითი მოტივაცია აღმოჩნდა სასწავლო წლის აქტიურად დასაწყებად, კათედრებზე განხორციელდა სამუშაო და ორგანიზაციული შეხვედრები. სკოლაში ფუნქციონირება დაიწყო 38 ფინანსურმა კლასმა, ინფრასტრუქტურულად სრულ მზადყოფნაში მყოფ სკოლას დაემატა **მოდერნიზებული დიზაინის ლიფტი** შშმ პირთა უსაფრთხოდ გადასადგილებლად. კლას-კაბინეტები ჩვეულებისამებრ მოეწყო სუფთად, უსაფრთხოდ და გათვალისწინებულია მოსწავლეთა სრულ რაოდენობაზე.

სკოლას ვაკანსიის საფუძველზე ჰყავს რამდენიმე ახალი კადრი, **მუსიკისა და დანწყობითი განათლების** მიმართულებით; რაც შეეხება მასწავლებელთა კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარე-



ბას სქემის ფარგლებში, სკოლის 41 მასწავლებელი უფროსია, 7 ნამყვანი, ორმა მასწავლებელმა ჩააბარა მენტორობის სტატუსის მოსაპოვებლად გამოცდა და ელოდება პრაქტიკულ დადასტურებას, ასევე 2 მასწავლებელი ელოდება პრაქტიკულ დადასტურებას და აღიარებას ნამყვანის სტატუსის მოსაპოვებლად. ვუსურვებთ მათ გამარჯვებას!

ამ სკოლაში 2022-2023 სასწავლო წელს გაიხსნა **4 პირველი კლასი**; დამრიგებლები: **ხათუნა ჩხარტიშვილი**, **მაია ქავთარაძე**, **სოფიო კენჭოშვილი** და **ნათია ბაკურაძე**, ასევე პირველ კლასებში შედიან სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლები: **ივლიტა ორბელიანი**, **თამარ კენჭიაშვილი**, **ეკა მდივანი**, **თეა არბოლიძე**.

სკოლაში მემორანდუმის ფარგლებში **ისწავლება ჩინური ენა, კულინარიისა და კონდიტერის** პრაქტიკული კურსი, **სამედიცინო პრაქტიკა**, მოქმედებს რამდენიმე კლუბი თვითმმართველობის ფარგლებში.

გასულ სასწავლო წელს სკოლას ყავდა 20 მედალოსანი (16 ოქროსა და 4 ვერცხლის).

რაც შეეხება გასული წლის ღონისძიებებს, რამდენიმეზე შეგვირდებოდა, რადგან საკმაოდ დიდი რაოდენობაა და ყველაზე მაღალ შედეგებს წარმოგიდგინთ: კათ-



ნახატების გამოფენა, საგაზაფხულო გამოფენა, პერსონალური გამოფენა VIII კლასის მოსწავლე **ნატალი ჭიტაძე**, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა ასფალტზე ხატვა, საქველმოქმედო აქცია ხელნაკეთობებისა და ნახატების გამოფენა-გაყიდვა. მსოფლიო ქვეყნების ეროვნული სამოსის გამოფენა. **მხიარული სტარტები**, ფრენბურთის შეჯიბრი მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, მუსიკალური ღონისძიებები ახალ წელთან დაკავშირებით.

ახალგაზრდულ გარემოსდაცვითი კონკურსი (ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია) სკოლის გუნდი ბიოლოგიის მასწავლებლის **ნ. გურულის** ხელმძღვანელობით გავიდა კონკურსის ფინალურ ეტაპზე, რომელიც გაიმართა ივლისში. ეკოკლუბის წევრებმა ამ კონკურსის ფარგლებში ჩაატარეს 20 აქტივობა: ქიმიის მასწავლებელმა, **ი. ჯავახიშვილმა**, მე-8 კლასში განახორციელა პროექტი-**ქიმიური ელემენტები ჯანმრთელობის სამსახურში**, რომელიც გაჯერებული იყო ბევრი სახალისო ექსპერიმენტით. მოსწავლეებმა მოახერხეს A, C, E ვიტამინების აღმოჩენა სხვადასხვა საკვებ პროდუქტში - არაუაქსში, ზეთში, ლიმონში და აანყვეს საინტერესო პრეზენტაციები.

მეორე სემესტრში განზრახულია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის პროცესის გაუმჯობე-

სება. კათედრამ მოამზადა 4 პროექტი - **„ეკონაკვალევი“** ლ. გოგასაძის ხელმძღვანელობით. გუნდის წევრებმა პროექტში ჩართეს **8, 9, 10 კლასის მოსწავლეები** და მოხალისე მასწავლებლები.

საზოგადოებრივი კათედრა: საინტერესო ღონისძიებებში ჩავერთეთ: ენოკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი **„together we achieve more“** ჩაერთნენ ელრები, მოხდა ინფორმაციით თანატოლთა გაცნობიერება და გუნდი გავიდა ფინალურ ეტაპზე. ხელმძღვანელი **ანა ტაბიძე**. ასევე ჩატარდა მოსწავლეთა ინფორმაციული შეხვედრა სახალხო დამცველის აპარატის მიერ ინიცირებულ შეხვედრას ესწრებოდნენ 7-10 კლასელები.

სამინისტროს მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, რომელიც **საქართველოს ისტორიის** ცალკე საგნად გატანას ეხება, დადებითი შედეგების მოლოდინში ვართ, რადგან ქართველი ბავშვებისთვის, საქართველოს მოქალაქისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს საკუთარი სამშობლოს წარსულისა და დიდი ისტორიის საფუძვლიანი და აკადემიური შესწავლა.

აქტიურად მიმდინარეობს სწავლება-სწავლის ახალი ტენდენციებისა და გამოწვევების მონიტორინგი, მშობელთა აქტიური ჩართულობის ფონზე სრული თანამშრომლობა, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მეთოდების ეფექტიანობას.

ვინმეს ჰგონია, რომ ეს მშრალი ჩამონათვლია? არა! ამის უკან დგას დაძაბული, ემოციური შრომა.

სკოლა მზადაა ახალი სიმალეების დასაპყრობად.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, 122-ე სკოლელებო! ყოფილიყო იგი უსაფრთხო, უყოვიდო, მშვიდობიანი, ჯანსაღი თქვენს სკოლაში და მთელ მსოფლიოში!

პროფესიონალიზმი - უპირველეს ყოვლისა!

„მუშა მიწყობ მუშაკობდას...“

შოთას ეს აფორიზმი სრულ თანხვედრაშია დიდი ბრძენაკის ფორმულასთან: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ ვინაა ეს დიდი კაცი, ჩემზე უკეთ იციან ისტორიის მასწავლებლებმა.

თბილისის 54-ე სკოლა (არ ვხმარობ „საჯაროს“ საჯარო ბიბლიოთეკის მიზაძვით. უფრო სწორია „სამუშაო ზოგადსაგანმანათლებლო“) თითქმის ყველა საგანში ძლიერი პედაგოგებით არის დაკომპლექტებული. ბევრი მათგანი მაღალი, უფროსის და ნამყვანის სტატუსს ატარებს, ეს შედეგები თავისით არ მოდის. მაგონდება ერთი პოეტის ნათქვამი: „თუ არა გაქვს მართვის ნიჭი, ვეღარავინ ვერ გიშველის, ვერც მერკელი, ვერც პერცელი, ვერც მიხო და ვერც მიშელი“.

ამ სკოლის დირექტორს **ქეთევან ჩიჭუაშვილს**, მის მოადგილე **თინათინ ტალიაშვილს**, სხვა მუშაკებს ამ კუთხით არავისი შევლა არ სჭირდებათ, ეს ნიჭი ზედმინეებით აქვთ მომადლებული. მოდი, ფაქტებით ვილაპარაკოთ! ეს ინფორმაცია სკოლიდან არის მოწოდებული.

ვერსიები კოორდინირებულად და შეხმატებულად

ჩვენი სკოლა აქტიურად და დინამიური ტემპით მიჰყვება საგანმანათლებლო რეფორმების რიტმს.

სასწავლო პროცესის ხელშეწყობად, დასახული მიზნების მისაღწევად ხშირად ვახორ-

ციელებთ ექსტრაკურსკულარულ აქტივობებს. ჩვენი მოსწავლეები აქტიურად სტუმრობენ მუზეუმებს, სახელმწიფო დაწესებულებებს. ინტერესით ეცნობიან ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიებს, ესწრებიან სხვადასხვა შემეცნებით ლექცია-სემინარებს, მონაწილეობენ სხვადასხვა ინტელექტუალურ ჩემპიონატებში.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ სასწავლო კვლევით კონფერენციაში თემაზე **„სწავლა თამაშით“** მეორე ადგილზე გავიდა ასევე ჩვენი მოსწავლე **ბარბარე თოდუა**.

„ახალი სკოლის მოდელი“ ფარგლებში საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების მიმართულებით სკოლაში ჩავატარეთ კონფერენცია თემაზე **„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“**.

განვახორციელეთ პროექტი **„საქართველოს ტურისტული პოტენციალი“**. მოსწავლეებმა შექმნეს ბუკლეტები და საინფორმაციო ხსენიების ვიდეორგოლები, სადაც წარმოაჩინეს საქართველოს ღირსშესანიშნაობები და მათი მნიშვნელობა ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

სკოლა პერმანენტულად ახორციელებს შემეცნებითი ექსკურსია-გაკვეთილების ციკლს **„სკოლა ღია ცის ქვეშ“**, სადაც ბავშვები ეცნობიან თბილისის არქიტექტურულ და ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს.

განვახორციელეთ პროექტი



„ჩვენ ვზოგავთ რესურსებს“ და მონაწილეობა მივიღეთ **„ჯორჯიან უოთერ პაუერის“** მიერ გამართულ კამპანიაში **„გაუფრთხილდი წყალს“**.

ესეების კონკურსში **„გარემოსდაცვითი განათლება ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში“** მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ჩვენმა მოსწავლემ **თიკო ქუხილაძემ**.

მონაწილეობა მივიღეთ კონკურს-პროექტში **„სკოლის მეგობრული სკვერები“**.

ქართული ენის კათედრის ორგანიზებით განხორციელდა პროექტი - ტრილოგია **„მამული, ენა, სარწმუნოება“**.

„ახალი განათლების“ მიერ გამოცხადებულ ნოველების კონკურსში **„დანერე ნოველა“** თბილისის მასშტაბით პირველ ადგილზე გავიდა ჩვენი სკოლის მოსწავლე **კესარია ნამიჭიშვილი**.

კურსდამთავრებულ ოქროს მედალოსან გოგონებთან მოეწყო სალონური შეხვედრა.

ამჟამად სრულიად სასკოლო საზოგადოება ჩართულია პროექტში **ფინანსური წიგნიერების**

მიმართულებით - **„როგორ ვმართოთ ფინანსები არაფინანსისტებმა“**. მოსწავლეები ეცნობიან თემატური მასალის დამუშავებას.

ჩვენს პედაგოგებს, სკოლის ადმინისტრაციას გაცნობიერებული აქვს **პედაგოგის უწყვეტი პროფესიული განვითარებისა** და პიროვნული **ზრდის** მნიშვნელობა. ეს კომპონენტი, გადამწყვეტია ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად აქტიურად ვერთვეებით ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში. სიამაყით აღვნიშნავ, რომ 2021-2022 სასწავლო წელს, რესპუბლიკურ ეროვნულ კონფერენციაში საუკეთესო მომხსენებლებად დასახელდა ჩვენი სკოლის სამი პედაგოგი: **ნინო მამლაძე**, **მკა ტაბუცაძე** და **მარიამ მამულაშვილი**.

მივესალმებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებას საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად დანერგვასთან დაკავშირებით (როგორც ვიცით, ეს საგანი საბაზო საფეხურის კლასებში ინერგება). მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელ კონფერენციაში საუკეთესო მომხსენებლებად დასახელდა ჩვენი სკოლის სამი პედაგოგი: **ნინო მამლაძე**, **მკა ტაბუცაძე** და **მარიამ მამულაშვილი**. მივესალმებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებას საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად დანერგვასთან დაკავშირებით (როგორც ვიცით, ეს საგანი საბაზო საფეხურის კლასებში ინერგება). მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელ კონფერენციაში საუკეთესო მომხსენებლებად დასახელდა ჩვენი სკოლის სამი პედაგოგი: **ნინო მამლაძე**, **მკა ტაბუცაძე** და **მარიამ მამულაშვილი**. მივესალმებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებას საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად დანერგვასთან დაკავშირებით (როგორც ვიცით, ეს საგანი საბაზო საფეხურის კლასებში ინერგება). მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელ კონფერენციაში საუკეთესო მომხსენებლებად დასახელდა ჩვენი სკოლის სამი პედაგოგი: **ნინო მამლაძე**, **მკა ტაბუცაძე** და **მარიამ მამულაშვილი**.

ლისკვეთება და ხელი შევუწყობთ მათ სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, ამისათვის მათ ისტორია გააზრებულად და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვით უნდა ვასწავლოთ. ისტორია მართლაც **„წარსული წინასწარმეტყველება“** და აუცილებლად დაეხმარება მომავალ თაობას ჩვენი ქვეყნის მომავლის სწორად დაგეგმვაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა რგოლი, რომელიც ჩართულია საგანმანათლებლო პროცესში, ვგულისხმობთ სკოლას, მანდატურის სამსახურს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მუშაობს კოორდინირებულად, თანამშრომლობითი კულტურის საფუძველზე, რათა ახალგაზრდებს შეუქმნათ უსაფრთხო გარემო და განათლებისა და განვითარებისთვის უსაფრთხო პირობები.

მადლობა თქვენ ასეთი შემართებით, თავდადებით ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. თუ მთავრობამ არა, საზოგადოებამ, აღმზრდელმა, მათი მშობლებმა უთუოდ დაგიფასებენ ამავსა და რუდუნებას.

გამოიარეთ ყოველმხრივ ურთულესი სამი წელი და ერთხელაც არ ჩაგმიუხლავთ, დაგკენისათ. „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის თქვენზე შთამომავლობა“.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ! მრავალს დასწრებოდეთ ჯანმრთელად, გამარჯვებულად!

გვერდი მოამზადა **ბორის მიშველაძე**

ბრძნობა – ბონების ესთეტიკური ჰარმონია



დროთა მსხვერპლი

ამ წიგნის ავტორს პოეტური გვარ-სახელი აქვს — რითმიანი, რიტმიანი. გვარია აფციაური, სახელი ქვია მზიური. გნებავთ, სიტყვების თამაშად ჩამითვალეთ ეს სტროფები. მთავარი ერთია: „სულ მისი გულის მონაწილეა, რაც დაეპყარა ქალაქის ლექსები“.

ერის ყოფის, ბრძოლის, გადარჩენისთვის მსხვერპლად შენიღობს, პატრიოტიზმის მოტივებია პოეტურად წარმოჩენილი. პოემის სასაიათი, ორიგინალია ჩემზე უკეთ აქვს ახსნილ-შეფასებული პროფესორ სერგი ლომაძეს, წიგნის წინასიტყვაობის ავტორს და სწორი დასკვნა გამოაქვს, როცა წერს: „ლირიკოსი პოეტი შეიძლება არ იყოს ეპიკოსი, მაგრამ ეპიკოსი ყოველთვის ლირიკოსია. მზიური თავისი პოემით ორივე ამ ხაზს წარმოადგენს“.

დროთა მსხვერპლი

დროთა მსხვერპლს სწორავს ბუნება თვითონ, რჩეულთა ცდა ხომ მისი ხვედრია, რამდენად სწორავს შემქმნელი შექმნილს, მათი სწრაფვანი ერთურთს ედრია.

და მოთმინება რჩეული მსხვერპლის? მისი დათობა უფრო მკვეთრია, თუნდ უარყოფა უარყოფისა უმზეოდ ყამარ-გრეგალთ ღმერთია.

საგანძურით მოჰყვება დრო-ჟამს სახეცვლილება პირთა დიადი, ეპოქები შობს ახალ თაობებს, რომ აისრულონ თვის ხეაძიადი.

მუსიკა

მოკვდავ ბუნებას რა საოცარი, ვირტუოზული მოსდევს მუსიკა, შტრაუსის ვალსი, ბახი, მოცარტი, ფალიაპევილი მართლად, უსიტყვოდ.

შუმანის დიდი გამოლევა, ძალა ყოფაში უნდა იკითხო... ევროპის მეჯლისის გვაუწყებს ვენა, ვალსის ბოქმეა სიცოცხლეს ითხოვს.

პრელუდები მოვარებულა, ვით ბეთჰოვენის ჩქარი ფიფქტცვენა, მრავალხმიანმა „ჩაქურლუმ“ კოსმოსს სხვა სენსაცია აღმოუცენა...

ჩემი მისია

დავენაფები უტკბილესს ნაყოფს, ამოვკრეფ ნაყოფს ბუნების ძღვენსო და საჩუქრებად მივართმევ ყველას, მასაც კი მტრულად მუდამ მიღრენსო...

მივართმევ დებს და დედას საქსოვად, გარეულ ნადირთ ტყავებსა ცხელსო, ზედ საქართველოს დაეპარგინებ, ამომავალ მზეს ცეცხლივით მწველსო...

და თუ ქართველად მე გამაჩინე, ღმერთო, დიადო, მომეცი ძალა, სამშობლოსათვის გადავიხადო შენგან მოძღვნილი სიმართლის ძალა...

სიყვარული

და ეს სიმღერა სიყვარულის ნატიფი სვეტი, თან არ გეცილდება, როცა სული სიცოცხლეს ეტრფის, თუ ჩაიძირე, დაგესმება თავს როგორც რეტი და დაკოდილი მისგან შენს სულს ვერაფერს ეტყვის.

მრავალმა სიბრძნემ სიყვარული ააბოპირა, ამ ნაზმა გრძნობამ საბოლოოდ დაიპყრო ყველა, მაგრამ უნაზესს პასუხად რომ ვერ უძღვნეს თავი, იღუმალებით შეპყრობილი მოისპენს ხელად.

და სიყვარულისა, უპირველესს გრძნობათა შორის, დიდი აზრი და მისია აქვს ცხოვრებისათვის. ამ უდიდესთა შემეცნების კავშირთა ძალით დაფუძნებულა არსებობა სიცოცხლისათვის.

მზიური ავციაური

მინანერი: აქ ყველაფერი ერთმანეთზე უკეთესია... ამიტომ ჭირს საუკეთესოს ამორჩევა. მაშინ პოემა მთლიანად უნდა ამოიწეროს. მკითხველს უურჩევ, ზედმინევენით გულისყურით, კრიტიკული თვლით წაიკითხოს წიგნი, თუ სურს იმოგზაუროს პოემის პოეტურ-ესთეტიკურ ლაბირინთებში.

ბორის მიჰველაძე

ინოვაციური ტრადიცია



მეგობრებს უმასპინძლა, რომ მარიამ კვანტრიშვილისთვის დაბადების დღე მიელოცათ. ცხრა წლის მარიამს სამუდამოდ დაამახსოვრდება მისი ბაბუის, ცნობილი პოეტის გერმანე საზანოელისა და მისი მეგობრების, ზასტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეების, ბატონების ედისონ სალაძისა და ბორის ჭიჭინაძის სტუმრობა, რომლებმაც გაულამაზეს დაბადების დღე. ზეიმზე ასევე მონაწილეობდნენ მარიამის კლასელ-მეგობრები, ქრისტინე ლავთაძე, მარიამ ფანჭულიძე, მათე ჭიჭინაძე.



სშირად დადიან მინვევით და აქეთაც მასპინძლობენ პოლონელ კოლეგებს. ბოლოს სწორედ ოქტომბრის თვეში (როდესაც იყო მარიამის დაბადების დღე), მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით მასპინძლობდნენ მათ.



განმანათლებლო სისტემის გამოცდილი და ელვანლომოსილი პედაგოგი, ქალბატონი სოფიო კვინიკაძე. ამ სკოლის მესამე კლასის დამრიგებელმა ირმა ჭიჭინაძემ მოსწავლის დაბადების დღეზე ოუბილარის ოჯახის წარმომადგენლებსა და მათ

სკოლის მრავალი კურსდამთავრებული სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობს სწავლას. წლებიდან ერთ-ერთი ოქტოს მედალოსანი ანა ბარბაქაძე ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში 100%-ანი გრანტით ჩაირიცხა. ჩამოთვალა შორს ნაგვიყვანდა, ამიტომ აღარ გავაგრძელებ და წარმატებას ვუსურვებთ „ორნატის“ მთლიან შემოქმედებით კოლექტივს და წინასწარ მივულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ზურაბ ქობალია, საქ. დამსახ. ჟურნალისტი



სახელოვანი იუბილე

ნიაზ ძიაპშივა — 95



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობისას ის ორჯერ გახდა სსრ კავშირის ვერცხლის და სამჯერ ბრინჯაოს პრიზიორი.

ნიაზ ძიაპშივა სამჯერ დასახელებდა 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის 1948, 1949 და 1950 წლებში.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ის თბილისის „დინამოს“ გუნდის უფროსად დაინიშნა.

სამწუხაროდ, ნიაზ ძიაპშივამ ხანმოკლე ცხოვრება განვლო. ის 66 წლის ასაკში გარდაიცვალა და მისივე თხოვნით თბილისში დაკრძალეს.

ნიაზ ძიაპშივას პატივი მიაგეს თანამემამულეებმა, ორამირელებმა, თბილისის „დინამოს“ ვეტერანმა ფეხბურთელებმა, დედაქალაქის საზოგადოების წარმომადგენლებმა.

სიტყვები, რომლებიც ნიაზ ძიაპშივას მიმართ მადლიერებითა და პატივისცემით იყო განმსჭვალული, წარმოთქვეს საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა სახელით რევაზ ძიძუაშვილმა და ზორბეგ ებრაღიძემ. განსაკუთრებული

თანამემამულეს, ნიაზ ძიაპშივას ეკუთვნის.

სტადიონზე გამართულ შეხვედრას, სატელევიზიო გადაღებას და პრესის მიერ ამ ღონისძიების გაშუქებას ორგანიზება გაუწია ორამირის კავშირმა „ერთობამ“ თენგიზ ნორაკიძის, ლორენცო შარანგიას და თამაზ ჩიქობავას ხელმძღვანელობით.

დამსწრეებმა გაიხსენეს ნიაზ ძიაპშივას მიერ ნათამაშევი მატჩები. აი, მათი სახელები:

თენგიზ ნორაკიძე, ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქობავა, ომარ ჟვანია, იური დოჩია, გივი ჩხეტია, რევაზ ჩხეტია, თემურ ჩიქობავა, გია ბასილია, დევი ფუტყარაძე.

ომარ ძიაპშივა, მისი ვაჟი და სამი შვილიშვილი, რევაზ ძიძუაშვილი, ზორბეგ ებრაღიძე, თენგიზ ნორაკიძე-უმცროსი, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, ნოდარ კემულარია, დილარ კემულარია, ვახტანგ გოგუა, ლევან ლაგვილაძე, დავით ძალამიძე, ბესო კონოლაძე, თამაზ ჩხვირიკია, ქავა მინჯია, თამაზ კალანდია, ემზარ თუნგია, ვიტალი ბენდელიანი, ბესო ძიძიგური, გია მიქიაა, დავით ლაგვილაძე, მერაბ რუხაია, ოთარ წურწურია.

თენგიზ ნორაკიძე, სპორტის ოსტატი ფეხბურთში



საფუძვლიანი ცოდნა, ფართო თვალსაზრისი



სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლას, სადაც განათლებას დარგის ღვაწლმოსილი, გამოცდილი მუშაკი, ქალბატონი **მაია მღვდელიძე**, რომ უდგას, მრავალი წარმატებისთვის მიუღწევია მოსწავლეთა ზნეკეთილ, მცოდნედ აღზრდის რთულსა და საპატიო საქმეში. ამასი დიდია დირექტორის მოადგილეების **ნინო არბილიძისა** და **თამარ გალგაშვილის** დამსახურება.

სკოლა რთული ორგანიზაცია. ყველა წარმატება მისი თითოეული სეგმენტის გამართულ, ურთიერთშეთანხმებულ მუშაობაზეა დამოკიდებული. ამიტომ მნიშვნელოვანია საქმისმწარმოებლის **მარინა ჩუბინიძის**, საინფორმაციო მენეჯერის **სალომე რაზმაძისა** და ბუღალტერ **მიმონა გამცემლიძის** წვლილი სკოლის წარმატებებში. სკოლა რომ წარმატებულია, ამის დასტური თუნდაც იცა გავლენით, რომ 7 პარალელური პირველი კლასისა და დანერგებითი კლასების პედაგოგები: **მაია თაბუაშვილი**, **ნინო უბირია**, **მარინე ყურშიტაშვილი**, **მადონა წულუკიძე**, **თამუნა ვალიაშვილი**, **ქეთევან ნარსია**, **ნათია სიმონიძე** ჩვეული სისათუთითა და ამ ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ცოდნით აყვარებენ მათ სწავლას.

საოცარი და მისასაღმებელია სწავლა/სწავლების რთულ პროცესთან თანხვედრითად რაოდენი გამინაწილო, მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის ესოდენ საჭირო ღონისძიებების მალაღმარისიანად ჩატარებას ახერხებს ეს მართლაც წარმატებული სკოლა.

ამის საფუძველს კი, უპირველესად, პედაგოგთა კვალიფიკაცია ქმნის, რამაც მათ სკოლის ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს, სახელდობრ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის

ლებელი, რათა მომავალში სტატუსის ამაღლების საშუალება მიეცეს. თუმცა, პედაგოგ **ქეთევან სეფიაშვილი** უკვე მიენიჭა მენტორის სტატუსი. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლა ჩართული იყო სხვადასხვა აქტივობაში. კერძოდ, განხორციელდა სასკოლო პროექტი „შენწყვეტე ძალადობა, გაუფხვინე სამყაროს ღიმილი“, რომელშიც ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. ძალადობის პრევენციის მიზნით, მოსწავლეებმა შექმნეს კლასის კოდექსი, ხოლო მისი გათვალისწინებით – სასკოლო;

კლასების დამრიგებლების მიერ ზედმინევიანობით სრულდებოდა მათზე დაკისრებული მოვალეობები, რათა სასწავლო რეჟიმის ცვლილება არ ყოფილიყო ასახული მოსწავლეთა შედეგებზე. სასწავლო წლის ბოლოს მათ გაანა-

შემაჯამებელი კონფერენციაზე ზოგადი განათლების რეფორმის მიმართულებით.

საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა აქტიურად გამოემხურა უკრაინაში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს ნახატებითა თუ ვიდეორგოლებით. გამოვიდა ყურნალ „ქართული ემიგრაციის“ ახალი ნომერი, სადაც დაიბეჭდა პედაგოგ **ბელა გზირიშვილის** სტატია: „ლევილის ბინადარი, ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის“, რომლის პრეზენტაციაც წარუდგინა სასკოლო საზოგადოებას ტიმის პლატფორმის გამოყენებით. ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სკოლაში მოეწყო კვირეული: ყველა კლასში ჩატარდა (სულ - 6 კლასი) კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შექმნილი



ისო აქტივობა – „განძის რუკა“. მერვე კლასებში – კომპლექსური დავალება „გასართობი პარკის დაგეგმვა“, რომლის შეჯამებამ ცხადყო ასეთი დავალებების სწავლა-სწავლების პროცესში დანერგვის დადებითი მხარე და აუცილებლობა, რაც გამოიხატა მოსწავლეთა აქტიურობით, დავალების შესრულების ხარისხით, მრავალფეროვნებით. კომპლექსური დავალებები – „სადეზინფექციო ხსნარი“ და ხიდები (გეომეტრიული ფიგურების გამოყენება) განხორციელდა მე-7 კლასში. ბავშვების მიერ შექმნილი პროექტი - სადეზინფექციო ხსნარი სკოლაში გამართულ საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაში მოთხოვნილი აღმოჩნდა, ხოლო მათ მიერ შექმნილი ხიდების მაკეტებმა, ნახაზებმა და, ზოგადად, პრეზენტაციამ, შემაჯამებელ გაკვეთილზე მონაწილე დაინტერესებულ კლასებთან („ა“ და „ბ“) ერთად ჩატარდა საველე გაკვეთილი თემაზე „მიუწვდომელ ნორტილამდე მანძილის გაზომვა, რომლის დასკვნითი ნაწილი საკლასო სივრცეში განხორციელდა. ამ გაკვეთილის უმთავრესი შედეგი მოსწავლეების მიერ მათემატიკის საშუალებით პრაქტიკაში პრობლემის გადაჭრის მარტივი გზების აღმოჩენა იყო. განხორციელდა პროექტი: პლასტიკის შექმნა რისიგან და ოპტიკური ილუზია. ქალბატონმა **ლალი სურმაჯამ** მონაწილეობა მიიღო ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში გამართული სკოლის დირექტორთა და მასწავლებელთა ისანი-სამგორის რაიონულ კონფერენციაში.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. ვიქტორინა მე-5 კლასის პედაგოგებისა და მოსწავლეების ჩართულობით. პროექტი „ხელოვნება - ძალადობის წინააღმდეგ“. სტუდენტთა და მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია, თელავი. კონფერენციაში მონაწილეობდა მე-10 კლასის მოსწავლე **გიორგი ჭანტურია**. თემის სათაური იყო: ეროვნული ტოლერანტობა. კონფერენციაში მონაწილეობდა სხვადასხვა უნივერსიტეტისა და საჯარო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა. **გიორგი ჭანტურიას** მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

სპორტის კათედრა. სასკოლო სპორტულ-შემეცნიერებით ვიქტორინა „ქართული და მსოფლიო სპორტი კვირედი 19-ის კვალდაკვალ“; შიდასასკოლო ფესტივალი ფრენბურთში, ფეხბურთის ჩემპიონატი მე-9 კლასებში. ბავშვები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, სიგელებით. მხიარული სტარტების ფესტივალი - მე-5ა და მე-5ე კლასებს შორის.

საბუნებისმეტყველო კათედრა. პროექტები: „ნარჩენების მართვა“, „ჰაერის დაცვა დაბინძურებისგან“; შექმნეს საგანმანათლებლო რესურსები. ისანი-სამგორის რაიონულ კონფერენციაზე **ქეთევან სეფიაშვილმა** წარადგინა კომპლექსური დავალება „სამთო ქობი“; **ნანა ლაცუზაია** მე-9 კლასის მოსწავლეთან ერთად ჩართული იყო საპილოტე პროგრამაში „ექიმის საათი“ და სხვ.

ინკლუზიის კათედრა. სპეცმასწავლებლები მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ სსმ მოსწავლეების კოგნიტიური და აკადემიური უნარების შეფასებაზე, გა-


აცნეს ისგ-ს მიხედვით სწავლების პრინციპები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეიქმნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. საგნის მასწავლებლებს სასწავლო წლის მანძილზე ეხმარებოდნენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებასა და მიზნის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში. სსმ მოსწავლეთან მუშაობდნენ ინდივიდუალურად ისგ-ში განვირული მიზნების მისაღწევად - წერის, კითხვის, ანგარიშის, აზროვნების, ყურადღების, მეხსიერებისა და მოტორული უნარების განვითარებაზე, მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. მოსწავლეები ინდივიდუალურ სამუშაოებს გადიოდნენ რესურსოთახში და ინდივიდუალური დავალებები ეძლეოდათ საგაკვეთილო პროცესში.

დისტანციური სწავლების რეჟიმზე მყოფი მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ საგაკვეთილო პროცესში თიშის პლატფორმაზე; ესწრებოდნენ ონლაინ გაკვეთილებს და ინკლუზიური განათლების სპეციალისტები უზრუნველდნენ დავალებებს მათი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

უცხო ენების კათედრა. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის წევრები მიზანმიმართულად მუშაობენ მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაზე და ორიენტირებული არიან თითოეული მოსწავლის განვითარების პროცესზე. მასწავლებლები ატარებდნენ სხვადასხვა აქტივობას: პრეზენტაციები, კომპლექსური დავალებები, პროექტები, ვიდეორგოლები, ვიქტორინები და სხვ. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მონაწილეობა მიიღეს რაიონულ კონფერენციაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეების ზეპირმეტყველებისა და ენობრივი ცნობიერების განვითარებას; ენობრივ-კულტურული გამოცდილების გამდიდრებას; უცხო ენაზე სწავლის უნარჩვევების განვითარებას.

ესთეტიკის კათედრა. სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობდა შერეული (დისტანციური, პირდაპირი) სწავლების მეთოდით, შესაბამისი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. კათედრის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა აქტივობაში; ყველა კლასში ჩატარდა საინტერესო კომპლექსური დავალებები, მათ ხელი შეუწყეს მოსწავლეთა საჭირო უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას. გაიმართა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები, შემეცნებითი ექსკურსიები, განხორციელდა სხვადასხვა პროექტი; მასწავლებლებმა გაიარეს საერთო ტრენინგები, წარმატებით ჩაატარეს სავალდებულო გაკვეთილები; იყო ურთიერთდასწრებები, გამოცდილებისა და რჩევების გაზიარება. თანამშრომლობითი სწავლება კათედრის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

აი, ასეთი მრავალფეროვანია 108-ე საჯარო სკოლის ცხოვრება. ცხადია, მოსწავლეები, პედაგოგთა ძალისხმევით, მაქსიმალურად იფართოებენ თვალსაზრისს.



ლიხეს სადამრიგებლო კლასების თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მომზადდა თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება და მიეწოდა მშობლებს.

ალსანიშნავია კათედრების მუშაობა. მათ წარმატებით განახორციელეს შესაბამისი საგნების სწავლების კოორდინირება. ასევე, კათედრის მუშაობის ფარგლებში მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი თითოეული კოლეგის განვითარების ხელშეწყობასა და გამოცდილების გაზიარებაში. მათი ძალისხმევით დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება.

დანებებითი სწავლების კათედრა. წლის განმავლობაში ყველა მასწავლებელი ატარებდა საუბრებს სხვადასხვა თემებზე: პროფესიული და მორალური განვითარების, გარემოს დაცვისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის, უსაფრთხოებისა და მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების, ინტელექტუალური და ესთეტიკური განვითარების

პროექტის პრეზენტაციები. მე-8 კლასის „საინიციატივო ჯგუფის“ მოსწავლეებმა, **გიორგი გაბრავას** ხელმძღვანელობით, შექმნეს ბლოგი, სადაც ასახეს ყველა ის აქტივობა, რაც ხორციელდება მოქალაქეობის გაკვეთილზე და განათავსეს სოციალურ ქსელში. მე-7 კლასის მოსწავლეები, პროექტი - „რა ვიცი პარლამენტის შესახებ“ - ფარგლებში, საქართველოს პარლამენტში იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტმა, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, სკოლის მოსწავლეებისთვის საშუალოაქო განათლების ახალი სასწავლო პროგრამის ფარგლებში, უმანსპინძლა პროექტში ჩართულ მოსწავლეებს და პედაგოგებს.

მათემატიკის კათედრა. 21-ე საუკუნის უნარების განვითარების ხელშეწყობად მოსწავლეებმა IPstermywall-ის გამოყენებით შექმნეს პოსტერები მომავლის რობოტებისა და რობოტიზაციის მნიშვნელობაზე. ისტ-ის უნარების განვითარების ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის, ბუნების დაცვის პოპულარიზაციის მიზნით, შეიქმნა კომიქსები IPixston-აპლიკაციის გამოყენებით. ციფრული ნივთიერების მეტი პოპულარიზაციისთვის IVoki.com-აპლიკაციის გამოყენებით შექმნეს პრეზენტაციური ავტარები ბავშვთა უფლებების პრეზენტაციით. კლასების მიხედვით მოეწყო ვირტუალური გამოფენები IArtsteps.com აპლიკაციის გამოყენებით სხვადასხვა თემაზე. ციფრული ნივთიერების დანერგვის მიზნით, დანერგულია მე-6 კლასებში პროგრამირების ელემენტების სწავლა ISCRATCH-ის ბაზაზე და ანიმაციური თამაშების შექმნა; კლუბ „ციფრულ მოქალაქეში“ გაერთიანებულ მოსწავლეებთანაც ონლაინ თეამს პლატფორმაზე. სისტემატურად აახლებენ ბლოგებს და Youtube არხს ჩვენს მიერ შექმნილი რესურსებითა და ვიდეორგოლებით. 5დ კლასი მონაწილეობდა IMicrosoft-ის Mindworks-ის და განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტში „სწავლა Minecraft-ის გამოყენებით. Minecraft ის დახმარებით შეიქმნა კომპლექსური რესურსი, რისთვისაც Microsoft-ის Mindworks-ის და განათლების სამინისტროს სერტიფიკატი დაიმსახურა. მერვე კლასებში განხორციელდა საინტერესო და სახალ-



დირექტორთან ერთად, უზრუნველყოფს მასწავლებელთა შიდა შეფასებისა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. აკვირდება მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებებს.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სკოლა დროულად იძიებს და აწვდის ინფორმაციას პედაგოგებს დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების შესახებ.

პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგკურსები სტატუსის შესაბამისი საკონტაქტო საათების ოდენობით. 2022 წლის ზაფხულის საგნის/პროფესიული უნარების გამოცდაზე დარეგისტრირებულია 10 მასწავ-

შესახებ; „ახალი სკოლის მოდელი“ ფარგლებში, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებიდან მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას არგებდნენ კლასის შესაძლებლობებს. ქმნიდნენ და ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს სხვადასხვა საგანში, რომელზეც მოსწავლეები ხალისით და მონდომებით მუშაობდნენ. ყველა კლასში აღინიშნა „დედის დღე“, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, აუტიზმის ცნობადობის საერთაშორისო დღე, 9 აპრილი, „დედადღის დღე“, 26 მაისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

მასწავლებლები ღირსეულად წარსდგნენ ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ

ლექსუმური შემოდგომა



ლექსუმიდან მოსანვევი ბარათი მივიღე.

„1. 15 ნოემბერს 14:00 საათზე ცაგერის ლადო ასათიანის სახელობის პარკში გაიმართება შემოდგომისა და მეგობრობის ფესტივალი: „მეგობრობა იგივე ხელოვნებაა“ (ლადო ასათიანი)

2. 15:30 საათზე ცაგერის კულტურის სახლში ჩატარდება პოეზიისა და ძმობის საღამო: „რომ ლექსმა შეკრას ჭრილობა ცივი“ (ლადო ასათიანი).“

ავფორიაქდი. ბევრი რამ მქონდა წაკითხული და მოსმენილი ლექსუმის შესახებ, მაგრამ იმ წუთში, რატომღაც ეს ამბავი გამახსენდა: ერგნეთში (ცხინვალის მოსაზღვრე ქართული სოფელი) მცხოვრებმა სახალხო მკურნალმა და ქველმოქმედმა ბატონმა ანზორ ჩლაიძემ ასეთი რამ ბრძანა: – „...თავის მხრივ, საქართველოში ყველაზე საინტერესო ადგილია ლექსუმი. იქ ნამყოფი არა ვარ. იქ არის მთა, საიდანაც ხდება ლვითური ენერგიების გადინება დედამიწიდან ზეცაში და პირიქით. მალე იქ აღმოჩნდება ისეთი საიდუმლო გვირაბი, საინტერესო დარბაზები, რომელიც ჩვენთვის ყველაზე მეტად იქნება საყურადღებო, - უძველესი სამკურნალო საშუალებებით. ამ ადგილას, შიგნით, მთაში ნაკვეთ ეკლესიასაც ვხედავ, რომლიდანაც მირონმდინარი წყალი გადმოედინება. ადრე ეს ადგილი თამარ მეფის ერთ-ერთ საიდუმლო სალოცავ და დასასვენებელ ადგილად ითვლებოდა. ამ მთის ნიაღში აღმოჩნდება უძველესი მარნები, სადაც ვაზის უნიკალური ჯიშები ინახებოდა...“ (ნიგინიდან „უსაზღვრო სული“) – ეს საუბარი ჟურნალისტმა, პროფესორმა გიგლა გობეჩიამ ჩაინერა. ანზორ ჩლაიძემ ზვამლის მთის აღწერილობა გიგლა გობეჩიას უბის ნიგნაკში ჩაუხატა. მას ზვამლის მთა არასოდეს ენახა... ჩანახატი კი, სინამდვილეს საოცარი სიზუსტით დამთხვა. მადლობა უფალს, რომ ამ მადლიან მხარეში სტუმრობის საშუალება მომეცა.

ლექსუმისკენ მიმავალთ, თბილისიდან ამგზავრებულმა წვიმამ წყალტუბოსთან მიგვატოვა. შემოდგომის მზით გაჩახახებულმა ლექსუმმა ათასფრად აჭრელებულ – აბრიალებული მთებითა და ულურჯესი ცით ალაღად შემოგვლიმა. „იყო და არა იყო

რა...“ – ზუსტად ასე დაიწყო ის ლამაზი და განუმეორებელი დღე ლადო ასათიანის სამშობლოში.

მინვეული სტუმრები, პოეტები: თიანეთის ჩალაბაშვილი, ტარიელ ხარხალაური, დავით ახლოური, თინათო სვიციანი, ნიკა ბაბაძე, გურამ გორჯაფხაძე, ენდი ნემსინვაიძე, ნინო ფრუიძე, ლალი ფრუიძე, რუსუდან კაციტაძე, პაპუნა ჯვარიანი, ქალთაგა ანა სურმანიძე, ლევან კასიძე, მარი მარწყვიანი, სოფო მამაიაშვილი, გოგა თუშიანი, ციციო ბაბუციანი; მარინა ხარხალაური – თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ვახტანგ გოგიძე – მსახიობი, ლალი ჯვანაშვილი – მომღერალი, სოფიო დევანიძე, მაცვალა ლიპარტელიანი - ჟურ-

ნალიტი... მასპინძლებთან ერთად ლადო ასათიანის პარკის შესასვლელთან შევიკრიბეთ და ლადოს ძველი ყვავილებით შევამკეთ.

ლადო ასათიანის სახელობის პარკი თავს იყო ლექსითა და სიყვარულით უბეგამოტყენილი გოგო-ბიჭებით, მასწავლებლებით, სტუმრებით. ამ შესანიშნავი ღონისძიების იდეის ავტორები და ორგანიზატორები იყვნენ

ელილი ჯობია და, ისე დამაბნია იქაურმა ზღაპრულმა მასპინძლობამ, რომ ბევრი რამ კადრს მიღმა დამრჩა.

დიდი ხანია, ასეთი და ამდენი მზისგულა ბავშვი ერთად არ მინახავს. მე მათ ბედნიერ ბავშვობას ვუსურვებ და ისეთ მომავალს, თვითონ რომ იქნებიან ამ მინა-წყლის ნამდვილი ბატონ-პატრონები. გული დამწყდა, როცა გავიგე, რომ ერთ-ერთ სკოლაში ზუსტი ბავშვი სწავლობს... საყოველთაო ჭირს აქამდეც მოუღწევია – ნელ-ნელა ვცოტავდებით. სად მივდივართ, სად მივრბივართ, რა არის ამაზე უკეთესი „იქით“... რატომ ხდება ეს ასე, რატომ... რატომ?!

თითქოს დღემდე იქ ვარ. ლადოს ლექსით ამღვრებული და

მა შემსრულებლებმა და სცენაზე ნამდვილი ცეცხლი დაანთეს. მიწვეული პოეტები მაყურებლებს მივესალმეთ, ლექსებით მოვეფერეთ და ღონისძიების შინაარსსა და მნიშვნელობაზე ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატეთ.

შეკრა, ლექსმა შეკრა დიდი სიყვარულის, მეგობრობისა და მაღალი ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული. ეს დღე-სასწაული, მართლაც, ძმობისა და შერიგების სათავეებთან დგომა იყო.

ღონისძიების შემდეგ მასპინძლებმა ბანკეტზე მიგვიპატიჟეს. ჩვეული მამა-პაპური ქიფი გვიანობამდე გაგრძელდა. თითქოს კიდევ რაღაც აკლდა ამ დღეს და, აი ისიც – არ დაიზარა მაცვალა



ნეთთან ლექსით! უპ, ეს იყო მრავალგანზომილებიანი სპექტაკლი ქართული ორნამენტებით შემკული და მორწუხრთმებული. ყველა გვესალმებოდა, გვიღიმიოდა, გვეფერებოდა, გვემზისგულეებოდა... გვრუქინდნენ თავლს, ჩურჩხელებს, ჩირს, აკოდებს, ყვავილებს... რა ჯიშის ღვინოს არ ნახავდით... უნიკალურმა ღვი-

ვაბერებული ლექსუმელი დიდ-პატარა მისატოვებლად არ მეძებება. იმ დღეს, აი, მაჭარი რომ დეულს, ზუსტად ისე დეულდა და მორწუხრუხებდა ლადოს უკვე დაღვინებული ლექსები – ლამაზ მთებში ფეხადგმული პოეზია, ქარიშხალივით რომ გადაუარა საქართველოს და ბეჭდაუდებელი ფალავანივით ახლაც ღირსეულ მეტოქეს დაეძებს.

კოპალიანმა და გვიან ღამით, სანამ სახლამდე მიგვაცილებდა, წმინდა მაქსიმეს მონასტერში მიგვიყვანა. წიგნში „ლექსუმი და ლექსუმელები“ – ვკითხულობთ: – „წმინდა მაქსიმეს სიცოცხლეშივე უნოდებდნენ სამყაროს ლამპარს. ამასვე მოწმობს ისიც, რომ მის საფლავზე გარდაცვალების დღიდან ყოველ ღამით ვილაცის უჩინარი ხელით ინთებოდა სამი ღე-

თაებრივი ღამპარი, რაც უფალმა მისი ღვანლის სიმბოლოდ უჩვენა ყველას – სიმბოლოდ თავდადებისა, მრავალი განსაცდელის მიუხედავად რომ არ წყვეტდა წმინდა სამების სადიდებელ ქადაგებას. წმინდა მაქსიმე გარდაცვალების შემდეგაც არ წყვეტს თავის მოღვაწეობას და მის საფლავზე



–ცაგერის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მართვის ცენტრნი – მარინა ბურჯალიანი, ლელა ლომთაძე და რესურსცენტრი – ირაკლი სილაგაძე; ცაგერის მუნიციპალიტეტის თანადგომით. შემოდგომის ზეიმში: ცაგერის, ქვედა ცაგერის, ლადო ასათიანის სახელობის ბარდნალის, მახაშის, ლალიშის, დვირიშის, ოყურეშის, დეხვირის, ორბელის, ზუბის, ლაჯანის, ლაცორის საჯარო სკოლების მოსწავლეები და

ნომ „უსახელოურმა“ ისე ისახელა თავი (არ დამძრაბოთ), მეორედ მოვიტოვე – სტალინი სვამდაო და, ვიფიქრე არც მე მანყენს-მეთქი! უამრავი ფოტო გადავიღებდნიერი ვარ, რომ ფესტივალის მონაწილეთა ულამაზესი ფოტოები, როგორც შეჩერებული წამი, ტელეფონში გამოვამწყვდიე და როცა ჩემი ლექსუმელები მომენატრებინ, სიყვარულით დაგვხედავ და ისევე გავიხარებ. ცოდვა გამხ-

ზეიმი გაგრძელდა. ლექსუმის იმდღევანდელ სტუმარ-მასპინძელს, ალბათ, ძალიან დიდხანს ემასსოვრება - ლადო ასათიანის განაცხადის: „მეგობრობა იგივე ხელოვნებაა“ მიხედვით ცაგერის კულტურის ცენტრში ჩატარებული ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო: „ძმობისა და შერიგების სათავეებთან“. იმდღერეს და იცეკვეს მოსწავლეთა სახლის ანსამბლებმა და ინდივიდუალურ-

მოღვაწეობას და მის საფლავზე

გავრძელება მე-7 გვ.



კობისა და შერიგების სათავეებთან

მეექვსე გვერდიდან

ანთებული სათავეები არაერთ ადამიანს კურნავს დღესაც... (მაყვალა კობალიანი). იქვე, მოვი-ნახულეთ „მწვანე თეატრი“ - ღია საკონცერტო სივრცე, არაჩვეუ-ლებრივი რომანტიკული გარემო. გულწრფელად ვიტყვი, - უამრავი რამ აქვს ლეჩხუმს საამაყო და თა-ვისმოსაწონებელი.

მეორე დღეს, გამომგზავრე-ბამდე ძალიან ცოტა დრო გვქონ-და დარჩენილი. მე კი, სურვილი მქონდა, რომ ცაგერში უფრო მე-ტის ნახვა მომესწრო. მეგზურო-ბის სურვილი არაჩვეულებრივმა ნათია მეშველიანმა გამოთქვა. თავდაპირველად ქალაქის ცენ-ტრში მდებარე ტაძარში შევედით. ვილოცეთ. იქვე, ტაძრის შესასვ-ლელთან მაყვალა ლიპარტელიანის მშობლების საფლავია. სათავეები დავანთეთ... მაყვალა თვალეში ჩაგუბებულმა ცრემლმა მწარედ მომანატრა ჩემი დედ-მამისა და ახლობლების დაკარგული საფლა-ვეები. ღმერთო, რამდენი ტკივილია თითოეულ საფლავთან დაგუბებუ-ლი... რამდენი ცრემლია დაღვრი-ლი... რამდენი ყვავილი და ბალახ-

ატვარს, მოცეკვავებს, მოქიფებს, მოჭიდავებს, დამრტყმელს... საო-ცარია, რა სიფაქიზით და ოსტა-ტობით არის ყველაფერი დალ-აგებული და ჩანიკნიკებული. ამ ფოტოებს რომ ნახავ, აუცილე-ბლად ლეჩხუმელობა მოგიწდება და კედელზე შენი ფოტოსთვის ადგილის ძებნას დაიწყებ, მაგრამ არაფერი გამოვა, შევსებულა! ლეჩხუმს კი, ისეთი გოგო-ბიჭები ეზრდება, ბატონ გუჯას აუცილე-ბლად მოუწევს მუზეუმის გაფარ-თობა. იდღეგრძელოს ასეთი ადა-მიანის ჯიშმა და გენმა!

სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო, ვერ მოვასწარი ლეჩხუ-მის ისტორიული, მხარეთმცოდ-ნეობის, დიდების, განათლების, ბარდნალაში ლადო ასათიან-ნის, დეხვირში ეთნოგრაფიული მუზეუმების და კიდევ მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილის დათ-ვალაღიერება. ეს ყველაფერი კი, ლეჩხუმის მონახულების კიდევ ერთი კარგი საბაბია. მე კი, უმინაწყოდ დარჩენილი სამაჩა-ბლოელი, ჩემი მშობლიური მიწის ფერსა და სურნელს დავეძებ ყველგან. იმ დღით მეც ერთ-ერთი ლეჩხუმელთაგანი ვიყავი და ის რამდენიმე საათი იქაუ-რად მიყვარდა მავთულხლართს მიღმა დარჩენილი საქართველო - სამაჩაბლოში! აფხაზეთში!



„სახლებს იშენებენ ლტოლვილი ბავშვები, მინაზე ლოგინად ქალაქი დაუგიათ, ქვებით გაუწყვიათ ოთახი რამდენი, ცხინვალზე ოცნების კოშკი აუგიათ. დრომ და უღობობობამ თქვენი სიზმრებიდან რამდენი გაზაფხული მოწყვიტა, ეგ თქვენი თვალეში მიშით იმზირება, კუთვნილი სასახლე-ქოხიდან. კისერზე გვანება ლოდი კვლავ ლოდინით, მშობლო კუთხეზე და ედემო, მანამდე დააგეთ ქალაქის ლოგინი, თქვე, ბუდეშლილი მტრედებო.“
პოთა დარაგაპვილი (სამაჩაბლო)

ბი წარმატებით იდგმება ქართული თეატრის სცენაზე და ბედნიერი ვარ, რომ თავანკარა ქართლური არ კარგავს თავის კალაპოტს.
- სადაც ნამდვილი, წმინდა ქა-რთულის შესასწავლად მიაშურა მიხეილ ჯავახიშვილმა.
- სადაც კლასიკოსი მწერალი მერაბ ელიოზიშვილი ცხოვრობდა.
- სადაც ცხოვრობდა გიორგი ბესთაუთი - „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ ენაზე უბადლოდ მთარგმ-ნელი. დადგება დრო და ეს ძვირ-ფასი ნიგნი იქცევა უმტკიცეს ხი-დად ორ მომდურავ ერს შორის!

კიდევ ერთხელ, დიდი მად-ლობა: მარინა პარკალიანს, ლელა ლომთაძეს, ზურა, ბასო და თამარ ჩანსაძე-ნიანას; საოლის ღირაქა-ტორაძეს; ღვთისმშობლის, ნუნუ კოპალიანს, მთვარის ახვლედიანს, ალაკო გიორგობიანს, ქათამაზ პურ-ცხველაძეს, ციური კვიციანიძეს, ტრისტან გუგავას, ხათუნა ხაძე-რიანს, თამარ ბახსოლიანს, ზაურ სილაბაძეს, ზაურ გოლითიანს, ლელა კვიციანიძეს და ნატო ზო-რდიაშვილს; ანდრონიკოვს, მოსაველა-ბასა და ყველას, ვინც ამ დღეებში ზეიმის მოწყობაში მონაწილეობა



ია ნაწიმიარ ცრემლზე ამოსული... ჩუმადაა, მდუმარებს სასაფლაო, მაგრამ გულს ისეთი უხმო ტკივი-ლი გლეჯს, რომელსაც ვერასოდეს დაერქმევა სახელი, ვერასოდეს. იქვე, სამამულე ომში დაღუპულ ლეჩხუმელ მეომართა მემორი-ალთანაც შევეჩრდით. ავტოსად-გურის სიახლოვეს კი, ერთ-ერთ ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის ლობე-ზე საინტერესო წარწერა შევნიშნე - „ფოტო გამოფენა-მუზეუმი. ცნო-ბილი ლეჩხუმელები. დათვალაღიერ-ბა და ლინის დეგუსტაცია უფასო“. მუზეუმის დათვალაღიერების დრო მართლაც აღარ გვქონდა, მა-გრამ მაინც „შევატყუარი“ ღია კარი. ვისაც ის მუზეუმი უნახ-ავს და ვინც სამომავლოდ უნდა ნახოს - აუცილებლად! - ყველას სახელით მადლობას ვუხდით ბა-ტონ გუჯა ბენდელიანს ასეთი მნიშვნელოვანი, საშვილიშვილო, მადლიანი საქმისთვის! გულდია მასპინძელს სახლის კარიც ღია აქვს „დარჩენილი“: მუზეუმის დათვალაღიერება უფასო! ლინის დეგუსტაცია უფასო! სიყვარული ხომ, შეუფასებლად უფასო! - ეს ყველაფერი კი, იმიტომ არის უფა-სო, რომ ნახო ლეჩხუმის უდიდესი ფასეულობა, გენეტიკური საგან-ძური... ვის არ ნახავთ აქ: გენერ-ალს, მასწავლებელს, მწერალს, ექიმს, დეპუტატს, ინჟინერს, მხ-

ქსნის ხეობაში! ფრონეს ხეობაში! კოდორში... ეჰ, კიდევ რამდე-ნია?! უდიდესი სურვილი მექვს ლეჩხუმელი ბავშვები ენვიონ საზღვრისპირა სოფლებს და გაეცნონ მათი თანატოლების ყოფა - ცხოვრებას. უნდა შეეხონ

ძვირფასო ლეჩხუმელებო! თვა-ლისჩინივით გაუფრთხილდით თქვენს სამოთხისადარ მხარეს... არ მიატოვოთ ეგ მადლიანი და ბარაქიანი მინა-წყალი, რადგან საბედნიეროდ, ეგ არის თქვენი



მათ, იმ მიწას, მავთულხლართს, რომ შეიგრძნონ იმ ყოფის სინამდვილე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. უმძიმესია საზ-ღვრისპირა სოფლებში მცხოვრები და დევნილი ბავშვების ხვედრი. არავის ვუსურვებ. განა შეიძლება ამაზე მეტი ტრაგიზმით გად-მოსცეს პოეტმა დევნილი ბავშ-ვების ყოფა?!

ჯილდოც და ბედისწერაც! სულ ასე გიყვარდეთ ერთმანეთი! ასე გაიღიმეთ! ასე ააფრინეთ ლექსი უბიდან!.. მე, იმ მინა-წყლის შვი-ლი ვარ:
- სადაც ივანე მაჩაბელი ცხოვ-რობდა და მოღვაწეობდა. - მის მიერ ნათარგმნი შექსპირის პიესე-

- სადაც ცხოვრობდა და დღე-საც ბურჯად უდგას მწერლობას ქალბატონი მზია ხეთაგური!
- სადაც მოღვაწეობდა და დღე-საც, ქართული სულის მედროშეა ივანე მაჩაბლის სახელობის სახ-ელმწიფო თეატრი!
- ოთხ ტომად არის გამოცემუ-ლი მავთულხლართის მიღმა დარჩე-ნილი ტაძრებისა და ციხე-კოშკების ნუსხა, რომელიც ომამდეა აღ-ნერილი. ეს ჩვენი, სრულიად საქა-რთველოს სიმდიდრეა - დაუთვ-ლელი, აუნონავი, შეუფასებელი! უნდა დავიბრუნოთ ერთმანეთი და ეს საგანძურიც, რადგან:
„სამაჩაბლოში სხვა საქართველო, სხვა სურნელება და სხვა ხიბლია, მარაბლის ენა, გამორჩეული, ქართული ჯიშის ხსნა - სამხილია! სხვაგან თუ მტარვალს ხმალი ზარავდა, აქ, წმინდა ენით, დროც - მახვილია! სამაჩაბლო ჩვენი მარაბდა, სხვა დანარჩენი - მოძახილია! დაკარგულია მარაბლის სახლი, თვით მარაბელიც დაკარგულია, ქართულ ენაზე ტყვიების დახლით, ბგერები ცაში გაფანტულია! ზღვად ასაღებენ სხვა ქვეყნის რუებს, შვედს კი მარად შვე ზღვად უვლია... თუ აფხაზეთი ვერ დავიბრუნეთ, მაშ, სამაჩაბლოც დაკარგულია! მზე გულში სხივებს ვერ გაიხუნებს - ცხინვალის - ჩვენი საგანძურია! თუ სამაჩაბლოს ვერ დავიბრუნებთ, მაშ, საქართველოც დაკარგულია! მზია ხათაბური - მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

მიიღო. დასაფასებელია რაიონის ხელმძღვანელობის - ალუდა თუთი-სანის, რევაზ ახვლედიანის, ჭაბუკი ჭაბუკიანის, ირაკლი სილაბაძის... თანადგომა და მხარდაჭერა.
მეიმედება, რომ სანამ ერთმა-ნეთისთვის ასეთი დღესასწაულის მოწყობა შეგვიძლია, გადავრჩე-ბით და იმ დაკარგულსაც დავი-ბრუნებთ, რომლის დაკარგვასაც ნელ-ნელა გვაჩვენებს!!!
P. S. მადლობა ჩემს შეუდარებ-ელ მასპინძელს ნინო ლიპარტელ-იანს გულთბილი შეხვედრისთვის, ზრუნვისთვის, ყურადღებისთვის. ნახატით ჩამოჩა თვალეში და გულში - მე და მაყვალა გვიან მი-ვედით სახლში. ნინოს არ ეძინა. ლუმელი გემრიელად ღულუნებ-და, ლობიოს ქვაბი თუხთუხებ-და (ლობიანებისთვის)... ისეთი სიტბო და სიტკობო იყო, აღწერა არ შემიძლია... (ბუნებრივი აირი ლეჩხუმში ჯერ არ აქვთ.)
„იყო და არა იყო რა...“ დას-რულდა ლეჩხუმური ზღაპარი. ხომ გითხარით, უამრავი ფოტო გადავიღე მეთქი. ამ ფოტოე-ბმა მიზიდეს, რომ ასე გადამე-შალა გული ლეჩხუმისთვის და ლეჩხუმელებისთვის. როცა აქეთ, თბილისისკენ წამოვედით, მიკ-როავტობუსში გოგონები ამოე-იდნენ, ბარდნალაში მიდიოდნენ. გვიტორეს, გიცანითო. ჩვენც ენი-ცანით და გავიხარეთ. გზად ინ-გლისური ენის მასწავლებელი ირმა ნოსელიძეც დაგვემზავრა, რომელიც ქუთაისიდან სოფელ რუბში ყოველდღე დადის. მე, მათ დაუპირდი, რომ იმ ლამაზი და დაუვიწყარი დღის სამახსოვროდ ფოტოებს გავუგზავნიდი... სულ ბარდნალელი გოგონების „ბრა-ლია“ ამ ფოტოების „ფოტოლოცკე-ნა“...
ციცინო გაბუციაძე, პოეტი



კერძო ბავშვთა „სიხარული“



დასრულდა პანდემიით გამოწვეული პასიური წლები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და პატარები მონატრებულ კედლებში დაბრუნდნენ. კერძო ბავშვთა „სიხარული“ სრული მზადყოფნა სასწავლო პროცესის სწორად და სრულფასოვნად წარმართვისათვის. ბავშვთა დაკომპლექტებული კვალიფიციური, პასუხისმგებლობით გამორჩეული კოლექტივით, რომელსაც სათავეში უდგას თავის საქმეზე შეყვარებული საოცარი ქალბატონი ნატო ტაბატაძე. თუ როგორ მიმდინარეობს ბავშვთა სასწავლო პროცესი, ამაზე ქალბატონი ნატო თავად გვესაუბრება:

ტონი ნატო თავად გვესაუბრება: საბავშვო ბავშვთა სივრცეა, სადაც ბავშვი განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს გადის. ჩვენ კარგად გვემის, რამდენად



მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდა-განათლება ბავშვთა განვითარებისათვის, რისთვისაც უმთავრესი შესაბამისი გარემოს შექმნა. „სიხარული“ ყოველი დღე სასიამოვნო მუსიკითა და აერობიკით იწყება. გამაჯანსაღებელი ვარჯიშის შემდეგ, ჯგუფებში ინდივიდუალური მასა-

სიატებლების გათვალისწინებით მუშაობენ თემატურ მიმართულებებზე, განვითარების სფეროებზე, ტარდება სხვადასხვა აქტივობები, საინტერესო შემეცნებითი თამაშები, სწავლობენ ხელოვნებას, უცხო ენებს, დიდი ყურადღება ექცევა დაბალანსებულ მენიუს, ჯანსაღ კვებას. თამაშით სწავლების მეთოდის საშუალებით, ბავშვთა წარმატებით ხორციელდება **სასკოლო მზაობის პროგრამა**, რომელიც ხელს უწყობს აღსაზრდელის მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას, მოტორული, სოციალური, ემოციური, მეტყველებითი და შემეცნებითი უნარების განვითარებას.



ბულ მოქალაქედ ფორმირებისათვის. ზღაპრების ფანტასტიური სიუჟეტები განსაკუთრებულად ავითარებს ბავშვის ფანტაზიას. ზღაპრად გადმოცემული ხალხური თქმულებები, სპექტაკლებში გაცოცხლებული კეთილი და ბოროტი გმირები კი მათ ძალიან ახალისებთ. ლამაზ კოსტიუმებში გამოწყობილი აღსაზრდელები დიდი სიხარულით ელიან ხოლმე ყოველ ასეთ ინსცენირებას. სკოლამდელ ასაკში მიღებული ინფორმაცია, განცდილი ემოცია პროცესების ფორმირებაში უდიდეს როლს ასრულებს და სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ბავშვის განვითარების ეს ეტაპი სწორად

წარმართოს. საბავშვო ღონისძიებები სააღმზრდელო მეთოდოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ნოემბერში, საშემოდგომო ზეიმისთვის პედაგოგმა **ია ობგაძემ** უდიდესი სიყვარულით და შრომით მზაობის ჯგუფის აღსაზრდელებთან ერთად, საოცრად მორთულ სცენაზე, ყველასთვის საყვარელი ზღაპარი „**რწყილი და ჭიანჭველა**“ გააცოცხლა. ყველა გმირი ბედნიერი და ხალისიანი იყო. მოუთმენლად ველოდებით **ახალი 2023 წლის** დადგომას. საზეიმო ღონისძიებას კი ახალი სპექტაკლით შევხვდებით.

ნატო ტაბატაძე



სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება „ერუდიტები“

სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვა, ახალი საგანმანათლებლო სტანდარტის დანერგვა, რაც თითოეული ბავშვის ჰოლის-



ტურ განვითარებას და ინდივიდუალურ მიდგომას გულისხმობს, აქტიური შემოქმედებითი პროცესი, მონესრიგებული, ეფექტური და უსაფრთხო გარემო – ეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება „**ერუდიტები**“ გახლავთ. (დირექტორი **ზიზი ხახიშვილი**).

სასწავლო წელი ახალი შემართებით დაიწყო სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში – 1.5-2.5; 3-4; 4-5; 5-6 წლიანებში; მუშაობენ თემატურ მიმართულებებზე, გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის განვითარების ყველა საფეხურს, სახალისო და შემეცნებით აქტივობებს. სენსო-მოტორული სფერო, სოციალურ-ემოციური კომპეტენცია, ენობრივი უნარები, შემეცნება, დამოუკიდებლობა, თვითგამოხატვა – ერთნაირად პრიორიტეტულია. აწარმოებენ ობიექტურ დაკვირვებას ბავშვებზე და გასცემენ რეკომენდაციებს, მუშაობენ მოკლე და გრძელვადიან მიზნებზე, ახორციელებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ აქტივობებს. პროგრამის მეთოდოლოგიად გამოყენებული აქვთ

წლის ლიდერი

თემატური სწავლება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მოდელია. თითოეული ასაკობრივ ჯგუფში ტარდება აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეულ უნარებს – კოგნიტურ, მეტყველების, მოტორულ, შემოქმედებით განვითარებას, არამედ ბავშვების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასაც. ტარდება კონსტრუქციული, სენსორული, დრამატული, სამაგიდო აქტივობები, ხელოვნება, მუსიკა და მოძრაობა, წიგნიერება, მეტყველება, მეცნიერება, დღის და საღამოს შემაჯამებელი შეხვედრები, სწავლება თამაშით ინგლისური აქტივობა, ჭადრაკი. „**ერუდიტებში**“ ბავშვები ასევე ეუფლებიან სამ-

სახიბო ხელოვნებას. წლის განმავლობაში იდგება სხვადასხვა სპექტაკლი, სადაც პატარები დიდი ხალისით წარმოაჩენენ საკუთარ უნარებს. **შემოდგომის** ფესტივალი „**თათარობა-ჩურჩხლების ამოვლები**“ აქტივობით აღინიშნა, სადაც აღსაზრდელთა ნამუშევრები წარმოადგინეს. ღონისძიებაში მალალი იყო მშობელთა ჩართულობა. ამჟამად „**ერუდიტებში**“ საახალწლო სამზადისია. განწყობა საუცხოო, რეჟისორი, ცეკვისა და სიმღერის პედაგოგები და სხვადასხვა ზღაპრის გმირი პატარები – ყველანი სანტას მოლოდინში არიან. ქალბატონი **ზიზი** მომავალ თაობაზე და მათ კეთილდღეობა-

ზე განსაკუთრებულად ზრუნავს. სწორედ ამიტომაც, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება „**ერუდიტები**“ დაჯილდოვდა ნომინაციაზე „**ინოვაცია და ხარისხი**“ წლის ლიდერი სკოლამდელი აღზრდის სფეროში 2022 წელს.

ნათია გუგუნიანი



ჩვენი სტუმარია საგანმანათლებლო ორგანიზაცია „მწიგნობარი“ გათუმიდან

„ერთად ვასხივოთ წიგნიერება!“



ბავშვობა შუახვევის რაიონ სოფელ ტბეთში გავატარე. ვფიქრობ, კარგი ბავშვობა მქონდა. დედა, **ნადია გამრეკელიძე**, დაწყებითი კლასის პედაგოგი იყო და მისგან შევიძინე პედაგოგიური უნარები. მამა - **ალექსანდრე წულუკიძე** კინომექანიკოსი გახლდათ და ყოველდღიურად სხვადასხვა ფილმებს ვუყურებდით. ბავშვობაში მიყვარდა ხატვა, სიმღერა, სკოლაში მონაწილეობას ვიღებდი სხვადასხვა ღონისძიებაში, მხატვრულად ვკითხულობდი ლექსებს, კლასგარეშე ლიტერატურას, ვუკრავედი სხვადასხვა ინსტრუმენტზე: გარმონზე, გიტარაზე და ფანდურზე. ხელოვნებისადმი სიყვარული მამისა და ბაბუასგან, **დურსუნ წულუკიძისგან** მომდგა. ერთი სიტყვით საინტერესო გარემოებაში ვცხოვრობდი. მე -7 კლასში მენგია სიყვარული, რომელმაც ლექსების წერისკენ მიმიბოძა, რომლის საშუალებითაც დღესაც ვსულდგმულობ. მყავს მუხლზე, **ნუგზარ ლემსაძე** შეიღებო - **გოგია ლემსაძე** - მუხლზე **დინა ჩხაიძე**. შევიღებულე **ან-დრია** და **ლუკა ლემსაძე**; **გიტა ლემსაძე** - მუხლზე - **ჯაბა ნაკაშიძე**, შევიღებულე **ანრი** და **ანა ნაკაშიძე**.

ლომელების აღზრდას. ბევრი მიმართულებაა, სადაც აქტიურად ვმოღვაწეობ.

დაწყებითი კლასებში, თვალხატულა გოგო - ბიჭებთან მუშაობაში გაჩნდა იდეა დამეფუძნებინა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, მოაზროვნე, მაძიებელი ბავშვთა ორგანიზაცია (ა)ი



იბ **„მწიგნობარი“**, რომელიც 2010 წლის 10 დეკემბერს დავაფუძნე. მოვიწვიე სხვადასხვა საგნის სპეციალისტები, დავამუშავეთ სხვადასხვა საგნის ტესტები და ერთობლივი, ნაყოფიერი ნინა სამუშაო პროცესის შექმნის შემდეგ დავინყეთ შიდა სასკოლო საგნობრივი ოლიმპიადების ჩატარება. იდეამ გაამართლა. ორგანიზაციაში თანდათანობით წარმატებული სამუშაო, სამეცადინო, საკონკურსო პროცესი წარმოიქმნა.

2011 წელს გამიჩნდა კიდევ ერთი იდეა, მუშაობა წარმემართა შემოქმედებითი კუთხითაც და ლიტერატურული კონკურსების ჩატარებაც დავინყეთ. მხატვრული კითხვის კონკურსში მოსწავლეს ვანერვინებთ. გადავცემთ საპატიო წიგნის მონომობას, დებულებასთან ერთად.

განვერვინებული მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტიპის საქალაქო ღონისძიებებში. ასევე მოვიწვიეთ პოეტი მოსწავლეები და სწორ მიმართულებას ვაძლევთ. ვეხმარებით კრებულის გამოცემაშიც. საპატიო წიგნი მოსწავლეები წარსდგებიან ჟურნალისტიკის ამპლუაში, სადაც მოღვაწე ადამიანებთან მართავენ შეხვედრებს. ხელმძღვანელი **გიტა ლემსაძე**.

გამოვეცი ჟურნალი **„მწიგნობარი“**, რომელიც წელიწადში ერთხელ იბეჭდება. ჟურნალში შეტანილია შემოქმედი ახალგაზრდების ნამუშევრები და სააღმზრდელო მასალები. განვერვინებულ მოსწავლეს - ვანერვინებ მამულიშვილთა საგვარეულო კავშირში და აჭარა ლაზეთის ჩოხოსანთა საზოგადოებაში.

2020 წელს გამოვეცი საკონკურსო წიგნის **„ცოდნის ყულაბას“** მეორე ნაწილი, (VII- X კლასის მოსწავლეებისთვის), რის საშუალებითაც ვატარებთ **„ერუ-**

დის“ შესარჩევ ტურებს და, 4 ივნისს, გამოვლინდება გამარჯვებული სამი მოსწავლე, რომლებიც დაჯილდოვდებიან უმაღლესი ხარისხის მქონე სერტიფიკატითა და 50 ლარიანი ვაუჩერით, მასწავლებელს გადაეცემა მადლობის სიგელი, სკოლას სიმბოლურ საჩუქართან ერთად, მადლობის სიგელი.

ორგანიზაციამ 2010 წლიდან დღემდე ჩაატარა 230-ზე მეტი საგნობრივი ოლიმპიადა, 60 ლიტერატურული კონკურსი, მხატვრულ კითხვაში, 50 საქალაქო ღონისძიება, 60 შეხვედრა საზოგადო მოღვაწეებთან 13 წიგნის წარდგენა. ჩამოვაყალიბეთ თეატრალური დასი **„თეატრონი“**, მოვიწვიე რეჟისორი **ნანა შანიძე**, მონაწილეობა მივიღე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და ქვე-პროგრამის **„კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“** გამოცხადებულ კონკურსში და გავიმარჯვეთ.

ყოველ შაბათსა და კვირას გავედივართ შემდეგ მეცადინეობებს:

- *თეატრის ისტორია;
- *მეტყველების გაკვეთილები;
- *მხატვრული კითხვა;
- *მსახიობის ოსტატობა;
- *სცენის ეთიკა;
- *სხეულის პლასტიკა;
- *სმენის არმქონე პირებს დახმარებას უწევს, სმენის არმქონე პირის მშობელი.

ავგისტომო მოსწავლეები წარსდგნენ ლიტერატურულ-თეატრალური კომპოზიციით: **„ვალმოხდელი ვარ შენთან ქართულ ცაო“** კომპოზიცია ჩატარდა 2008 წლის მემორიალთან.

შემდეგი სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით **„სამშობლო“** ჩატარდა 29 ნოემბერს ბათუმის მე-9 საჯარო სკოლაში.



ა(ა)იბ **„მწიგნობარის“** ადმინისტრაცია მადლობას ვუხდით ქ. ბათუმის მერიას საჭირო და აუცილებელი პროექტების მხარდაჭერისათვის, რაც ერთგვარ სტიმულს იძლევა ჩვენი მსგავსი ორგანიზაციებისთვის უფრო შემართებით და იმედიანად ვაკეთოთ მომავლის საქმეები.

2022 წლის 1 ოქტომბრიდან ქალაქ ბათუმის, ქეთევან წამებულის 40 ნომერში გავხსენით მოსწავლეთა მოსამზადებელი ცენტრი, სადაც პირველი კლასიდან მეორე კლასის ჩათვლით მოვიწვიეთ პედაგოგები და ყველა საგანში ვამზადებთ მოსწავლეებს. (**ნანა ჩხაიძე**, **ინგლისური ენა**, **თამუნა ბოლქვაძე**, **ლაურა ლემსაძე**, **მარიამ ბერიძე**, **დარინა კეკელიძე**, **გულო ბერიძე** რუსული ენა, **ინდირა ჭალაიძე** ინგლისური ენა, **ქრისტინა აბაშიძე**) გვაქვს ჭადრაკის შემსწავლელი წრე, პედაგოგი თორნიკე რომელიც ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციის, თვითკრიტიკის განვითარებას, გამარჯვების საკენ სწრაფვას, წესების დაცვას, ღირსეულად წაგებას, სხვისი მოქმედების წინასწარ გათვლას. ჭადრაკი ბავშვში ინტელექტუალური შრომისადმი ინტერესს აღძვრავს. აიძულებს, ჯერ დაფიქრდეს შემდეგ იმოქმედოს.



ასევე ცენტრში გავხსენით ხატვის მოყვარულთა წრე **„ფერთა სამყარო“**. წრის მიზანია, მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება, მრავალმხრივი შემოქმედებითი უნარების გამოვლენა, განვითარება და ხელშეწყობა. გაკვეთილებზე მოსწავლეებს ეძლევა შესაძლებლობა დამოუკიდებლად აირჩიოს

მომავალ თაობას ხელი შევეწყო. ნიჭიერი თაობის ძიება და მათი ხელშეწყობა ქვეყნის მომავალზე ზრუნვაა და მინდა ჩემი ქვეყნის უკეთესი მომავალი. ჩვენი სლოგანია: **„ერთად ვასხივოთ წიგნიერება!“** მინდა ამ სხივმოფენილ ბილიკზე ყველა სწორი გზით დადიოდეს.



კონკრეტული ხერხი, სამუშაო მასალა, თემა და ა.შ., რაც მნიშვნელოვანია მათი შემოქმედებითი თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის, თვით აქტუალიზაციისათვის. მოსწავლეები უკეთ შეისწავლიან ფერებს, გრაფიკას, იმუშავენ სხვადასხვა ტექნიკასა და ფანრში. შეისწავლიან ქართულ და უცხოელ მხატვართა შემოქმედებას. ჩართულები იქნებიან სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში.

ასევე მოსამზადებელ ცენტრში გვაქვს 4 — 5 — 6 წლიანი აღსაზრდელების სასკოლო პროგრამის

პატარებთან ფუსფუსი ჩემი სულის ნაწილია. პატარების გარეშე ვერ წარმოვიდგინო ხვალისდელი დღე. მინდა რომ ყველა პედაგოგს უყვარდეს ბავშვი და პირნათელი შედიოდეს გაკვეთილზე და არა ვადის მოსახდელად. ამ ორგანიზაციამ გამაცნო ისეთი პედაგოგებიც, რომელსაც პედაგოგს ვერ უწოდებ. არ აინტერესებს ბავშვის კრიტიკულად განვითარება, მაგრამ არიან ისეთი პედაგოგებიც, რომლებიც ბოლომდე იხარჯებიან.

მთავარი ისაა, რომ ჩვენთან ერთად გატარებული ყოველი წამი მოსწავლეთის ცხოვრებას იქნება, ხელს შეუწყობს განათლებულ და გონიერი მომავალი თაობის აღზრდას. ჩაუწერავს მათ სამშობლოსა და ერის სიყვარულს განუმტკიცებს ეროვნულ ცნობიერებას გაუღრმავებს სკოლაში მიღებულ ცოდნას. მე მიყვარს ჩემი საქმე და ბოლომდე ვიხარჯები. მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა **გიტა ლემსაძეს**, მწიგნობარის ხერხემალს, რომელიც მუხლწაუხრელად შრომობს, რათა მწიგნობარი განვითარდეს და უფრო მრავალფეროვანი ორგანიზაცია იყოს. მადლობა განათლების სამინისტროს, სკოლების დირექტორებს, მასწავლებლებს, მწერალთა კავშირის დირექტორებსა და ყველა წევრს, ხატი-მაშულის დამფუძნებელს, ქალბატონ **ნანა მომცელიძეს**, ჩოხოსანთა საზოგადოების ხელმძღვანელს ბატონ, **თენგიზ თავდგირიძეს**, მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელს, **თემურ ფალავანდიშვილს**, მწიგნობარის ყველა თანამშრომელსა და ყველა მოქალაქეს ვინც ხელს გვიწვდის განვითარებისთვის. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეუღლეს **ნუგზარ ლემსაძეს**, რადგან ორგანიზაციას გადასცა საოფისე ფართი საჩუქრად, რამაც ორგანიზაციის მუშაობა უფრო ნაყოფიერი გახდა.

თხოვნით მივმართავ პედაგოგებს! ნუ დაიხარებთ ჩვენთან მოსწავლეების აქტიურობას... **„ერთად ვასხივოთ წიგნიერება!“** რაც უფრო მეტი ადამიანი შემოგვიერთდება ამ მატარებელზე, მით უფრო მრავალფეროვნად დაიხუშდება მწიგნობარი. ჩვენ ვაგრძელებთ ნიჭიერი თაობების მოძიებას!!!!

მანანა წულუკიძე, „მწიგნობარის“ დირექტორი



ლიტერატურული გვერდი - კომეზია



ირმა კვაშვილი

სულის რაფსოდია

გაყინული სული ფიფქებს ეფერება, შეწყინვია თვალებს ცრემლის ლოლუები, მოციმციმე მთვარე ღრუბელს ეფარება ჩუმ სატყვიარს ღამის ღანღებს მოვუყვები...

ბორგავს ხევის პირას ცივი ნაკადული, ნანამები მენგან, ამაყ სულს ვერევი, მენატრება გზები უკვე გაკვალული და ბავშვობის მორეული, ყრუ ბგერები...

სიყვარული შენი ველარ გადამარჩენს, გაიყოლებს ქარი სულის რაფსოდიას, რომ გადაშლის უნებურად ფოთლის სარჩევს, გახუბულ ფურცელს, ყვითელ ასოიანს...

გასაღები ვერ ვიპოვე კალმისწვერა, და გიყურებ ახლა ძალამილუელი, ზღაპრის ბოლო გვერდი უკვე დაინერა, მომყარა ყინვამ სუსხი მისეული...



მამუკა ორიაშვილი

ჩემი ქალთამზე

ცხენებმა დატორეს ქვიშაინ ბილიკი, მათარხმა ინივლა, გაფრინდა ქურანი, მთა გიყვარს, გეტყობა ღიმილი და მიმიკით, დღეს შენ ხარ არხობში მოსული სტუმარი.

ყურებთან მოშხუის ქარულად ნიავი, მთებზე წევს ნისლები წვეთებით ნამძივი, ცხენი ცხენს მიჰყვება სიმამივით, სიავით მცირდება სოფლისკენ სავალი მანძილი.

გამოჩნდა სოფელი ციხე და სახლები, სხივს, ციხის ქონგურზე გულდაგულ ართავს მზე და თითქოს გაცოცხლდა ღამაში ზღაპრები, მე მზეჭაბუკი ვარ, შენ ჩემი ქალთამზე.

მომენდე, ეს გულიც შენია ამ დღიდან მსურს თმებში ჩავწვრო ზაფხულის მზეები, სხივები ძვრებიან ნისლების თავშიდან, სად არის ასეთი სხვა სამოთხეები.

ნკრიალებს ქვიშაზე ნალები ცხენების, იორლას არ ხყევტენ, მიჰქრია ქარულად დრო დადა მთის წესით მხედრობის, ქვების, მსურს ასე გვერდს მყავდე, შენ მარადამულად.

მთა გიყვარს, გეტყობა ღიმილი და მიმიკით, სხივს, ციხის ქონგურზე გულდაგულ ართავს მზე, სოფლამდე მიყავართ, თავდება ბილიკი, მე შენი მიჯნური, შენ ჩემი ქალთამზე.

როს მახოლ *

როს მახოლ, ჩამასთოვს, დაჰკეტავს მთას შვილო, ნაქარი* გაავსებს ბილიკს და ქანჩახებს, აქ უკვე სათოვარ წვალობს და მაცილობს, ყინული ერევა ჭაობს და ჭანჭახებს.

როს მახოლ, გაცივდა ჭერხობის კედლები, უხალხო ყიოშმა სოფელი დაჯანა, მოვხუცდი, დავსუსტი, ყველაფერს ვეგლები, წლებმა ხელდამრია ნანვალზე, ნაჯაფარს.

როს მახოლ, ბანებზე თიხა ნაკლები წვეთ-წვეთად ჩამოდის წვიმაში წყალი და... მე ისე გაგზარდე არაფერს გაკლებდი, ვაგლახ, რომ ის წლები უწუმრად წავიდა.

როს მახოლ, დაბერდა საბრალო ჯაგანა, ნადირმაც იმატა, ყოველ ღამ გვეტევა, ჯაგანას ბენი რომ ყყარა ჯაგარად გაქუცულს, დღეს უჭირს ნადირზე შეტევა.

როს მახოლ, გავეყრებ გზებს მთისკენ სავალს, დღეს მთებზე გათეთრდა ძირიდან წვერამდე,

მე შენთან მოკითხვას, ნისლებსაც ვევალებ, იქნება როდისმე მოვიდნენ შენამდე.

ზამთრდება, ეს ქარიც შლეგობს და მაცილობს, მე მჯერა მომიხვალ, მე მჯერა გონს მახოლ* იქქარე, ჩამასთოვს, ჩაჰკეტავს მთას შვილო, ნეტავი ვიცოდე, როს მახოლ, როს მახოლ.

როს მახოლ * (ხევსურ) - როდის მოხვალ. ნაქარი* (ხევსურ) - ნამქერი გონს მახოლ* (ხევსურ) - გონზე მოხვალ, მიხვდები.


მიყვარხარ

სინაზით, მთებზე ნისლს მიჰგაგებარ ამ გულში ქარულად მოვარდი, მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ ნვიმამდის, ქარამდის, თოვამდის.

გავენდე, სიზმრებსაც გავენდე უშენოდ ვერ გავძლებ ვერა და მიყვარხარ მზემდე და მთვარემდე, ჩემში ხარ ამ გულის ძვერად.

დაგიცდი, უზომოდ დაგიცდი, შეხვედრის იმედი დიდი, ლოღინში, უსაზღვრო ლოდინში, შავ-თეთრი დღეებიც მიდიან.

შენამდე ფიქრით გზას ვზომავდი, მთებზე ნისლს რარიგად მიჰგაგებარ, ნვიმამდის, ქარამდის, თოვამდის მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!



ლეო კაკონია

რა სჭირს უმეცრების სასიკეთს, ძალუძთ ერთმანეთს არ აპატიონ. შენგან ამღერებულ სიცხადეს ვგრძნობ, ჩემო დიდებულო გალაკტიონ!

ვისაც კი ბენვის ხიდზე გაუვლია, ცხოვრების სიმუხტოლეც ხომ იცინა. ვერ შეგედავები მეგობარო, ჩემო დიდებულო ტიცინა!

ჟამი ქარტყილებს დააღენავს, მოსრავს სიღიადე დროთა. შენ კი ვერაფერი შეგეგება, ჩემო დიდებულო შოთა!

მეტი ვის რა უნდა შეასმინონ, სხვამხრივ ანდა როგორ უთხრან. შენ რომ რითმებშიდან ამოვითქვამს, ჩემო დიდებულო მუხრან.

ზღვისფერ დანისლული თვალებიდან, ნუხილს ნიაღვრად რომ აფრქვევ. ვინ თქვას უფრო დიდი სევდის სიტყვა, ჩემო დიდებულო გრანელ!

კაცთა სიავაკის გაცხადების, მოთქმა ღმერთებმა რომ ანიშნეს. ისე არვის ძალუძს როგორც შოთას, დიდებულ ნიშნაინძეს!

არა, არ ყოფილა მისი მსგავსი, სიტყვა მგოსნობის და არაკის. მამულიშვილური სიამაყის, გენი დიდებულები აკაკის!

შენი გაგება კი საუფლოა, ხედვა, შენებური განსჯა. დიდი პოეზიის ბერძენა ხარ, ჩემო დიდებულო ვაჟა.

ალბათ საოცრებას თუ მივანერთ, შენებრ პოეზია ბარდნი. სულის სიგიჟეა შენი ლექსი, ჩემო დიდებულო ლადო!

შენგან სიდიადის ზარები რეკს, სიტყვა დამსხვრეული ბროლის. ჭექა-ქუხილი ხარ პოეზიის, ჩემო დიდებულო მორის!

გული სიამაყით ეცხუნება, სითბოს შენს სიბრძნეში იძენს. სიტყვა დაელოცოს ქართველური, დიდებულ ლეზანიძეს!

შენ კი პოეზიის გვირგვინ ხარ, სადარს ვინ გიპოვნის განა? ცაზე მოკაშკაშე მნათობივით, ჩემო საოცარო ანა!



ნოზულა ჭიაშვილი

ვინაღებოდი მზით გარუჯულ, ნაბლისფერ სახლში, სირინოზები გვაფერებდნენ იას და ვარდებს, აკენის რიკულზე მოლეგარე მივივს მიგვანდეს, ავგაროზები გვარიდებდნენ „მსოფლიო დარდებს“.

აქ ალიონი გადასწინდა სულის დარბებს, დილის სხივები ჭუჭყუტანებს მალულად მზერდნენ, შუალამისას მოცეკვავე წვიმის წვეთები ნითელ კრამიტზე გამალებით, ჯიუტად ცემდნენ.

კარის ღრეჭოში ქართან ერთად დიოდა სიტკბო, დედაბუნება მთელი ძალით ენთო კერაზე და ბაბუები გულმონყალე, სველი თვალებით მითებს, ლეგენდებს გვიზაპრებდნენ ბავშვურ ენაზე.

ჭინკობის თვეში ძილს გვიფრთხობდა „დედუას ჭინკა“, აცხატახებულს დავგვიამა ბებია მუხლზე, „აშინ-მამინას“ ბუტბუტებდა თრთოლით მოხუცი და „ლაიმის“ შუქი კანკალებდა დაღარულ შუბლზე.

... და ვიზრდებოდი ავსულზე გამარჯვებული, წყლიან ჩარქას შავი ძაფით ნემსი ეკიდა, ლოცვა-მთქნარებით იღლებოდა ბებო გალინა და ჰუმანიზმის წმინდა ცეცხლი ყველას გვეკიდა.

ახლა ჩავმსხდარვართ ბეტონების ცივ გალიებში, ფაქიზი სული განაჩენის უფრო ტყვეა, კაცთმოყვარების დარღვეულ ყველა სამანი და გული ჩვენი გაუვალი ფიქრების ტყეა.

მე ისევ შენზე ფიქრებით ვიბები და ვაკონინებ სულის ნაფლეთებს, როდის შევხვდებით ნაცნობ ჭადართან და თვალებს როდის შემომავფეთებ?!

ეს უნინ იყო... წლების გადაღმა... მოულოდნელად შევეხვით ქუჩაში, შენ - მეგობრებთან მიქროდი ლალი, მე კი - მოთები მომქონდა სახლში.

მას მერე წლები გულს მიკორტნიან, ჭადარი დგას და ებრძვის სიბერეს, ჩვენი შეხვედრის ცოცხალი მოწმე შენზე ოცნებებს, ფიქრებს მიბერებს.

ეს ჩემი ლექსიც, კვლავ ვერაფერი, დედაშვილობის ღრმა ისტორია! ბოლო ზაფხულის ერთი საღამო - „დიდი შეხვედრა“ და ისტორია!



კაკუნა ჭვარიანი

ისევ ჩამესმა

ისევ ჩამესმა შენი ჩურჩული, ალერსით თრობა მომნატრებია... განმორებისგან გულდათუთქული, მივეყვები ხომალდს ლურჯ აფრებიანს.

გადაექაფა ნაპირს ტალღები, ვისხენებ კალთას-თეთრ ბაბთებიანს; განუკურნელი, ნაიარები მივდივარ, სადაც არ მიმელიან.

შეხვედრა

ზეშთაგონების მაღლით ვივსები, ვებრძვი ბურუსის ბუტაფორიებს, აბეკვატა ძველი სიზმრები, იქ ხომ ტერფებით ვსრესდი მორიელს.

დღეს ხორციელის აღების დღეა და გაუხეშდნენ წვიმის შეფხები, წუთით შეჩერდი გასხვილ ხესთან, არ ვიცი საით მივეხეტები.

საით და უნდა მოსისხლეს შეხვედე, სიკვდილ - სიციცხლის ვპოვო ადგილი, სულთამბილველის გუმბანი მივხვდი, ფარულად მომდევს მტერი ნამდვილი.

შეხვედრა მოხდა, დაჭრილი ვხოხავ, ვერ მოვიკრიბე სალად გონება, მიუწვდომელი ჩანჩქერის ოხვრას სალი კლდეების ერწყმის გოდება.

რადგან შეეხო

ვინ ჩაქცეულა, ვინ დაქცეულა, ვინ დააბოტებს ნაბიჯს ეულად, ვინ შეატოკებს რულეტს მვეულად, ვის ჩაეძინა კვლავ ზეზულად!..


კვ, როგორ მთარსავს ჭოტი დილიდან, ვინ გამიღიმა ასე ირიბად, რომ უნებლიედ გულში ვტირივარ, ვერ გამოვხვერი ღამის ჩრდილიდან!

შენი ჩასუნთქვის მაღლი მავზიხლებს, გასწორებია ლულა სამიხნეს. რადგან შეეხო თათი საკინძეს, ენების ნიალი ბუნდას აიდენს!

ბრმა მგზავრული

სანუთროვ მინცივ ჩამარცვლილო, ჩახიდილო აზრის სარკმელში, განსაცდელს როგორ აგაცილო - განილებულ ბრიყვის თარეშით.

უებრო სიტყვა მეგანიე, ათანგული თრთოლის ფარეში., ბოლომდე ტვირთი ვერ ავნიე - ბრმა მგზავრულის სიმუნხარეში!



ლუიზა მხვილდაძე-გაჭავია

ღმერთო ძლიერო!

შენ უცხოეთში მე დამანახე შენზე ვილოცო, შენი ვირწუნო, შენ ჩემთანა ხარ, ღმერთო, ძლიერო, გასურს ვიარსებო და ვიძლიერო.

ყოველ ცისმარე მე ვანთებ სანთელს, სანთლის ანთებას ლოცვები თან სდევს ვლოცულობ მთელი არსებით, რწმენით, თუ ვარ ძლიერი, მხოლოდ და შენით.

მსურს შეგისრულო დამოძღვრა შენი: „გიყვარდეს მტერი, ვით თავი შენი“. ჯერ ვერ გისრულებ, ღმერთო, შემინდე, მაგ სიმალემდე უნდა ავიდე“...

დღესამინა დამიძიდა

დღესამინა დამიძიდა, დაილალა, გადაიქანცა ჩვენი ცოდვების გამო, რამდენი სიავის მოგვრეობას ცდილობს. კაცთა კვლამ, ძმათა მუღლამა, სისხლის სუნმა დაუხსო ფილტვები, ადამიანთა გადაგვარებულმა სახეებმა სიციცხლის ხალისი წაართვა. გაუმაძღრობამ, ურწმუნოებამ შეაბარბაცა, ერთ დღეს იქნება, დაიბერტყავს ზურგს და... ვიცი, გადასარჩენად ისევ ღმერთისკენ გავიშვებო ხელებს:

ორგულობას და სიძულვილს დაუხშვია გონება, ურწმუნოება და სიხარბე მოქცეულა თავში და ველარ იტევს ამდენ ცოდვებს, შებარბაცდა სამყარო, დედამინა სისხლის სუნმა დაამიძიდა, გაჟლინთა.

უნდა შევდგეთ და სიმართლით ჩავანაცვლოთ ბოდვები, ღმერთი დიდსულოვანია, ვიცი, შევეცოდებით, ოღონდაც კი გონს მოვეგოთ, ვინანით ცოდვები და განკურნოთ დედამინა, ნეტავ რას ველოდებით?!

ლიტერატურული გვერდი - კომუნი

მიხარია!.. (ჩანახატი)

ბენდერი ღიმილი შევაგებე ვარდისფერ განთიადს.

- რატომ იღიმიები? - ჩამესმა დამცინავი ხმა.
- მიხარია, რომ გათენდა.
- მარტო გათენება გიხარია?
- დღეს ჩემი დაბადების დღეა და ეს მიხარია!
- სიხარულის მიზეზი გასაგებია, მაგრამ მე-ცოდები!
- რატომ ვარ საცოდავი?
- აბა, აქ რა გინდა, უცხო ქვეყანაში?
- ეს დროებითია, მაგრამ აქაც მყავს მეგობრები, მოვლენ მომილოცავენ.
- განა ყველა გულით დაგლოცავს?
- ყველა ხომ მისურვებს საუკეთესო სურვილებს.
- განა სიტყვებს აქვს მნიშვნელობა თუ გულიდან არ მოდის?
- ბაგებიდან ხომ მოდის და მაინც მიხარია!
- რა გიხარია? - თუნდაც ის, რომ ადამიანები არ მძულს.
- და ეს ნორმალურად მიგაჩნია?
- კი! რადგან ჩემს გულში სიძულვილს არა აქვს ადგილი, სიყვარულით არის სავსე.
- განა ყველასთან მართალი ხარ, ცოდვა არ ჩაგიდენია?
- რას ამბობთ, მე ერთი პატარა ნატეხი ვარ მისი ცოდვებითა და სიმართლით. განა არსებობს ადამიანი რომელსაც პატარ-პატარა, უნებლიე ცოდვები არ ჩაუდენია?
- დიდი ცოდვა?
- რას გულისხმობ დიდ ცოდვას?
- კაცთკვლა, მრუშობა.
- ღმერთმა დამიფარა და მიხარია!
- კიდევ რა გიხარია?
- ის, რომ ღმერთმა დღემდე ისე მაცხოვრა ცოდვის სიმძიმეს არ წაუქცევია.
- კიდევ?
- მიხარია, რომ მიყვარს და ვუყვარვარ!
- განა ვინც შენ გიყვარს, ყველას უყვარხარ?
- აბა, რა ვიცი, მე ხომ მიყვარს ისინი?
- მაგრამ ისეთებიც არიან, რომლებსაც მხოლოდ ჭირდები.
- არა უმავს, ხომ ვჭირდები და ეს მიხარია!
- ნუთუ არ გძულს არავინ? არ გინდა სამაგიერო გადაუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც განწყენინეს?
- არა! ეს უფლის ნებაა, მან უკეთ იცის?...
- გეტყობა დიდი მეოცნებე ხარ...
- ოცნებამ და რწმენამ გამაძლებინა უცხო ქვეყანაში ამდენ ხანს.
- რწმენა ახსენე, რას ელოდები?
- ჩემი ქვეყნის აყვავებასა და ბენდერ მომავალს ველოდები?
- და ეს გნამს?
- მნამს და მჯერა კიდევ!
- დაიჯერე დამშვიდდები! მშურს შენი გულბრყვილობა, ხა-ხა-ხა.
- მე კი შენი ბოროტება მაკვირვებს!



თაონა ოსარაშვილი

ჩემო იესო

გაფრინდა, მორჩა, დასრულდა თითქოს, ფრთამოტეხილი სნეული ვიძრფენი... მიხმობს ემმაკი მითრევს და თითქოს გულწასული ღამეებს ვითვლი.

მორჩა, გათავდა და გაცამტვერდა, ასე ნაგები ოცნების მთები ჩამოლენილი კლდეზე მიცოცავს ჩემი გულნატყენი წლები.

ვერ გადავურჩი ვერცერთ წამებას თითქოს მეც ვიგემე იესოს ჯაჭვი... ღმერთო! მომეც გამძლეობა რომ ვიგემო ეს ღვთიური მადლი!

დიდება უფალს, დიდება ღმერთს!
 მისი ნებაა, რომ დავალ დღეს, ხვალ სულ არ ვიცი რა მელიოდება, მაგრამ მე მაინც ვწერ,

ვიცი მოვა დრო ავტორდები სადღაც ნაგლეჯზეც იპოვით ლექსს. ვერ შევედრები მე ვერც ერთ მწერალს ვლალადებ მათზე ეს გული ძვრს...

მიყვარხართ ყველა მტერიც და ბერიც არც მე გეგონოთ სულ წესიერი ჩემი სიკარგე რა სათქმელია ცუდი ხომ უფრო ძალზედ ბევრია...

გული გულია წმინდა და მზა სამართალი და ზღვა ფერები მიყვარს სიმკაცრე ცრემლთა მორევიცა, ღმერთი და ყველა სხვა.

ქარმა გაგლიჯა ღრუბლები ცაში, ააფრიალა ფიქრების მტვერი, ვერა, ვერ ვიგებ რა მემართება, ჩემში აზვირთდა ის ტკივილები!

ველარ ვმშვიდდები, ვერ ვთბები თითქოს, ალარსად არის თბილი ვნებები, მომენტურა ირგვლივ ღიმილი და მოსაუბრე ენა ბუღბუღის...

სიჩუმე, ლანდი, სიბნელე ღამის და ამ წყვილადმი დავეხეტები ისე მონყენით, ისე შეშლილი დავეხეტები... ველარ ვმშვიდდები!

აყვავილდება გაზაფხულზე ფურუსულები აყვავილდება იუბი ისევ, ენძელა გზაზე შეეგებება თავს დაუკრავს კოცნის.

გამოიდარებს, ნავა ზამთარი, გადამწვანდება კვლავ... გამოიღვიძებს დედა ბუნება და თვალს ჩაუკრავს ცას...

ჯერ არ წასულა ეს შემოდგომა და არც სუსხია ცივი, მარა მაშინებს უსასრულობა ცივი ზამთრის და ფიქრის...

მიყვარს სინარნარე ფერად ყვავილების ხილვის, როცა მიწად დავალ მინდა, ფერად ცისარტყელის ხილვის...

ქარი, წვიმა და ცხელი მზე სრული ქაოსია დროის, წლების ნაკვალევზე მე მსურს რომ ვიზაფხულო დროით...

საგანძურია ვაჟა, ილია, საქართველოსთვის წერდნენ ამ ლექსებს „დედაენაზე“ შეყვარებული გოგებაშვილი სულ დაგვაგინყეს.

მიყვარს ძველისველ წიგნების ბოლოს შემოდებული სანიშნის ძაფი, ამ შემოდგომას ნოსტალგიებში რომ გავაღვიძო ყველა მწერალი...

ვეალერსები გაფრენილ წარსულს, სკოლის კიბესთან დამხვედრ ქალბატონს, მისი ნათქვამი - შემოდი, შვილო, ბუღბუღის ენად, დღესაც ჩამემის..



მანანა ლევაშვილი

ღისტანცია

ჩვენ უკვე შორი ვართ! იმაზე შორი ვართ, ვიდრე ცა და დედამიწა ერთმანეთისგან! დაპორდა გზები და გახუნდა გრძნობები შემონახული სათუთად!

ყველაფერს ჰქონია დასაწყისი და ეს აღსასრულიც მოვიდა! ჩვენ ახლა შორი ვართ! ჩვენ ახლა გავცივდით! ყინული ჩადგა და შემოგვეზამთრა!!! არც მოლოდინი...

არც ცრუ იმედი აღარ შემომრჩა!!! ისე ნახვედი!... ისე მოხვედი ვერც კი შემამჩნიე!!! ახლა?

ალარც ნოსტალგია!
 ალარც ტკივილი და ალარც თვითკრიტიკა!
 მხოლოდ დუმილი!...
 მხოლოდ ფორმალობა, რომელსაც ვერ ვიტან!!!
 ჩვენ ახლა შორი ვართ და ჩვენ ვართ ორნი და არ ვართ ერთნი!!!
 გავხდი აისბერგი გაუტეხელი და ქალი - დისტანცია!
 გგონია გამახსენდი?!
 შმ, გგონია განატრობ და ასე გამოეხატე?
 არა საყვარელო!
 მზეზე „ვთბებოდი“ და მუზა მომაფრინდა!!!



თამარ ანდრიაძე

ერთი დღე

ცაზე აინთო ნათურა, თმები მოუშვა მზემ, სხივები ირგვლივ დაფანტა წმინდა, უღრუბლო დღემ.

ყავას მიერთმევს ვარსკვლავი, მთვარე მუსიკებს კრებს, მზემ შემოავლო გარს თვალი, ალვის ხე უმზერს ხევს.

არ დაშომინდა ღრუბელი და შეებრძოლა მზეს, ბოლოს დამარცხდა სულელი, გადაეღვარა ტყეს.

ცაში ბუინობს კომეტა, მთვარეს დუღლში იწვევს, ასტეროიდის მოვლენას სერიოზულად იღებს.

შენთვის ვაფერადე ცა - უსაზღვრო ცისფერი ნაჭერი. შენთვის გადავცურე ზღვა, უძირო ცისფერი ნალველი.

შენთვის შევწირე გრაალს სისხლივით წითელი ვარდები, ტილო ვაფერადე ფერებით შენი ნაჩუქარი ფანქრების.

მე ვარსკვლავებად გავიფანტები... გავიფანტები ლაჟვარდ-სივრცეში...




ნონა აკულაშვილი-კეკაშვილი

მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხის საკეთილდღეოდ მლოცველი, მწერალი და იურისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი, სოფელ კრწანისიდან.

ზამთრის დადგომა

დეკემბერი, იანვარი, აღარა სჩანს ია-ვარდი, თოვლმა და ყინვამ დაფარა, მინდორ-ველი მთა და ბარი. ხშირად ქარი, ნისლი, თოვა, ქარბუქი და გრიგალი, ასეთ დროს სადმე წასვლა? აბა სცადე-გარეთ გადი?! ყინულის ლოლოები ამშვენებენ სახურავს, ხალხს ლუმედი უნთიათ, თავზე ქუდი ახურავთ. ბარბარობის აღსანიშნად ამზადებენ საჭმელებს: ლობიანებს, ხაბიზგინებს, ხაჭაპურებს და ქაძებს. ახალი წლის მობრძანება - ზეიმი ხალხის, შობა და ნათლისღება, უფლის დიდი მადლი. მიერთმევენ ჩალაღაჯს, პურს, ყველს და ჩურჩხელებს, ლეინოს, მწვანის, თაფლაკვერს, ზოგჯერ თონეც გუზგუზებს. ბევრი ადამიანი - ფრინველებზე ნადირობს, მამვის და ჩხართვის ხორცი, ოჯახები ნადიმობს. პატარები გუნდაობენ, დარბიან და ხარობენ,

თოვლის ბაბუას აგებენ, სიხარულით ლალობენ. სრიალებენ ციგებით, ჩექმებით და ძელებით, ხშირად უნდათ გართობა - ზამთრის სიამ-ტკიბილობით. ასე გადის დღეები, კვირეები, თვეები, თოვლისგან დაწვენილი ბევრი არის ხეები. ზამთარი დიდხანს გრძელდება, რთული არის მისვლა-მოსვლა, თუ ვინმე სტუმარი მოვა? კარგი ამბავი მოხდა. სახლების გადათოვლა ზოგჯერ არის პრობლემა, ამინდმა გამოიღარა მზემ ბუნებას მოხედა. ხალხს დიდი იმედი აქვს, მალე ზამთრის გასვლის, თავიანთი შრომით, გარჯით, მომავალის ხვალის. ზამთარი, რომ წავა და ხეში წყალი ჩადგება, გაზაფხულიც მალე მოვა, ბუნებაც-თბილი გახდება.



ნანა მომცელია

აქაა ზღვარი

მოლიპულია სავალი გზები, სადღაც შორს დარჩა გაღმა ნაპირი. მზის ერთი ციდა სითბოთი ვთბები და დგება ჩემი მასთან კავშირი.

აქაა ზღვარი, თუმცა ზღვარს იქით არის მთები და მთელი სამყარო, მე შევეურთდი ჯანსაღი ფიქრით და მსურს ოცნება რეალს გავეყარო.

გალაქტიკაში მოძრაობს ღერძი, ღერძი რაზედაც ბრუნავს რეალი. დრო დრომ შებოჭა, მზე მთვარეს ებრძვის სამყარო გახდა ჩვენი მდევარი.

მოლიპულია სავალი გზები, სადღაც შორს დარჩა გაღმა ნაპირი. მზის ერთი ციდა სითბოთი ვთბები და დგება ჩემი მასთან კავშირი.

ის ერთი

დრო მძვინვარებდა, უსახურნი მართავდნენ მეჯლისს, სხვისი ცხოვრების განქიქებით იფხანდნენ გულებს. არ ანაღვლებდათ გამორკვევა მხარისა მდელის, რადგან ლაქაქში ნეტარებას ხედავდნენ ულევს. სხვის ცხოვრებაში ცვირჩარგულებს გამორჩათ ღმერთი, ღმერთი, რომელიც არცერთის გულს ფარად არ ყავდა, მათ ავინყდებათ, რომ არსებობს თავად ის ერთი, თავად ის ერთი და არავინ იმ ერთის გარდა.

შენფერი მზე

მე დავინახე შენფერი მზე და მზესაც შენფერი ჰქონდა ღიმილი. ვნახე რომ დარგე სიცოცხლის ხე და ცრემლად დაჰკიდე შენი ტკივილი. ბევრმა გაგანდო, ძალიან ბევრმა ფიქრი, სურვილი, გულისტკივილი. შენი თვალების დახრილობა ტევრმა მომიკლა შენი ნდომის წყურვილი. ხავსმოდებუი ხის ტანის ბუსუსს აეკვიტა წვდომის სურვილი და მე ვნებების უსახურ მუსუსს დამაკარგინა წყაროს წყურვილი. მე დავინახე შენფერი მზე და მზესაც შენფერი ჰქონდა ღიმილი, ერთი სურვილი ბოლომდე მდევდა არ ვყოფილიყავ ისევ გულგრილი.

და ძმისთვის – ბაბულისთვის!



ყველამ ზეპირად იცის ქართული ანდაზა: „ძმა – ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“, მაგრამ არ მსმენია ასეთი ფრაზა „და ძმისთვისაო“. დამძურ სიყვარულს და ურთიერთ თანამშრომლობას მინდა ვუძღვნა ეს წერილი. ჩვენმა რედაქტორმა ნიკო შველიძემ მივლინებით გამაგზავნა თელავის რაიონის წინანდლის საშუალო სკოლაში – დიდი ხანი ისმოდა სკოლის დირექტორის და მისი პადოლექტივის წარმატებული მოღვაწეობის შესახებ. ეს ის დროა, როცა განათლების სისტემას უძღვებოდნენ სახელოვანი მინისტრები: თამარ ლაშქარაშვილი და ოთარ ქინქვაბიძე. ეს ის დროა, როცა განათლების სისტემა დიდ აღზრდელობით გზაზე იდგა. სასწავლო-აღზრდელობით მუშაობაში სკოლებისა და ბავა-ბალების მშენებლობის ზუმი სუფევდა. კარგად მახსოვს: ერთ წელიწადში სასექტემბროდ ათი ახალი სკოლა და ბევრი საბავშვო დაწესებულება ჩადგა მწყობრში. ამ დროს წინანდლის სკოლის დირექტორის სახელი მთელ რესპუბლიკაში ისმოდა. იგი გახლდათ, გრიგოლ კობიაშვილი, დიდი დირექტორი ლამარა ნესტორის ასული კალანდაძე. როგორც იტყვიან, ყველაფერი აჟურში იყო მოყვანილი. სამწუხაროდ, დღეს ლამარა კალანდაძე ჩვენს შორის აღარ არის, 90 წლის

ასაკში, ამასწინათ, ზეციურ ნათელს შეუერთდა. წინასწარ ვიტყვი: არა მარტო ისაა მთავარი, რომ ქალბატონი ლამარა ათი წლით უმცროს ძმას, მასავით სახელოვან პედაგოგს დემურ კალანდაძეს ამობელ დედასავით უვლიდა, არამედ ის, რომ ორივე მამულისთვის იღწოდნენ, მომავალი თაობის აღზრდა-განათლებისათვის ზრუნავდნენ. ეს არის ჩემი წერილის სტრატეგიული პათოსი. კიდევ ერთი საოცარი დეტალი – სწორედ იმ დროს შეუერთდა ქალბატონი ლამარა ზეციურ ნათელს, როცა ბატონი დემური თავისი მოღვაწეობის 80 წლის იუბილეს იხდიდა. მოდით, მოკლედ და ფრაგმენტულად გადავავლოთ თვალი ლამარა კალანდაძის სახელოვანი ცხოვრების გზას: სწავლობდა თბილისის მე-10 სკოლაში, შემდეგ დაამთავრა



ჯდომარე... ქალიშვილი მაია – სკოლამდელი აღზრდელ-მასწავლებელი... ვარ საქართველოს მასწავლებელთა II ყრილობის დელეგატი. დაჯილდოებული ვარ მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, სსრკ განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით. ვარ თელავის რაიკომის წევრი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი. ლ. კალანდაძე, 1983 წ. 17/X.“ ნაწყვეტები სამოღვაწეო წინსვლა-წარმატებების სფეროდან: „განათლების სამინისტრო, 30/IX-1960, საქ. მასწავლებელთა I ყრილობის დელეგატს ლამარა კალანდაძეს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში

ბით ლამარა კალანდაძეს გამოეცხადოს მადლობა. საქ. განმინისტრი ოთარ ქინქვაბიძე.“ კიდევ არის ჯილდო მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების მე-7 ოლიმპიადის წარმატებული მონაწილისათვის, საიუბილეო მილოცვა თელავის რესურსცენტრისა და პროფკავშირებისგან და კიდევ ბევრი სხვა. დიდი სიყვარულით გარემოსილი იყო ქალბატონი ლამარა სკოლის პედაგოგიკისგან, მოსწავლეებისგან, მათი მშობლებისგან. პედაგოგებმა იუბილზე (23. 12. 06.) ლექსებიც უძღვნეს. „გურულობას არ ივინყებს, თუმცე წინანდლის გახდა მკვიდრი, ტკბილი სიტყვით მოაგვარებს, რაგინდ საქმე იყოს დიდი“, - წერს გულიზარ მასწავლებელი. „სანაცვლოდ შენი შრომის, გერგო ეს დიდი ჯილდო, როგორ გშენის ჯილდო, როგორ შევნი ჯილდოს.“



ქალთა 45-ე საშუალო სკოლა, ბოლოს დედაუნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. აქვე ვიტყვი: ბატონი დემურიც სპეციალობით ქიმიკოსია. ვიმეორებ, ჩემი მიზანია კალანდაძეების და-ძმური თანამშრომლობა მხოლოდ პირადი ავტორიტეტის ზრდას კი არა, ქვეყნის, მამულის ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა. ფრაგმენტები ბიოგრაფიიდან: „განათლების სამინისტროს განაწილებით 20. 08. 1955 წელს დავინიშნე თელავის რაიონის, სოფ. წინანდალში ქიმიის მასწავლებლად, 1970 წლის 1 ოქტომბრიდან – ამავე სკოლის დირექტორად. 1956 წელს გავთხოვდი. მყავს ქმარი ალექსი ლუარსაბიშვილი... მყავს ორი ძმა: ანზორი და დემური, და – დოდო კალანდაძე, იგი ბავა-ბაღის აღზრდელ-პედაგოგია, დემური კი ამჟამად – თბილისის საქარხნო რაიონში პარტკონტროლის თავმ-



დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოებული ხართ მედლით „შრომითი მამაცობისათვის“. გილოცავთ! მინისტრი თ. ლაშქარაშვილი“. „განათლების სამინისტრო – 30. 04. 80 ჩეხოსლოვაკიაში დანყებითი სამხედრო მომზადების მიზნით მოწინავე გამოცდილების გაზიარებისთვის სსრკ განსამინისტროს 1980 წლის 7 მარტის დადგენილ-

პარალელურად აქ, თბილისში ძმა ევზიბერბოდა ლამარა კალანდაძეს სიკეთის ქმნაში, რომელიც იყო 48-ე სკოლის დამფუძნებელი, განათლების განყოფილების გამგე, 112-ე სკოლის დირექტორი და სხვა დიდი საქმის თაოსანი (იხილეთ გაზეთი „სახალხო განათლება“, 4, 25/V-2020). უპირანი იქნება, ლამარა კალანდაძის მოღვაწეობაზე მონოგრაფია დაინეროს. ლამარა კალანდაძე დაუვინყარი იქნება და-ძმების, მეგობრების, აღზრდილების გულში. ლამარა კალანდაძის მოსაგონარს რუსთველის სიტყვებით დავამთავრებ: „ვინცა მოკვდეს მამულისთვის, მისი სულნი ზეცად რბიან!“ იყვავ მარადის ზეციურ ნათელში!

მილოცვა

დაბადების დღეს, 90 წლის იუბილეს ვულოცავ ჩემს ერთადერთ ბიცოლას კლარა ლეკვეიშვილს... განათლების სამინისტროს გამორჩეულ თანამშრომელს, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორს, პროფესიული სასწავლებლის მო-სწავლეებისთვის, დამსახურებულ ინჟინერს და თაობების აღზრდელს, კარგ მეუღლეს (ნათელი ოთარ ბიძის სულს), კარგ დედას, დედამთილს და ბებიას... გილოცავ ჩემო ძვირფასო კლარა ბიცოლა, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებ, ჩვენც შენი წყალი გადმოგვსხმოდეს და ღირსეულად გავგეძლოს ამ რთული ცხოვრებისთვის... გვიყვარხარ!..

მაია, დოდო, ნანა, მანანა...



გაზეთ „სახალხო განათლება“-ის სახელით, **ბორის მიშველაძე**, საქ. დამს. ჟურნალისტი

იცხოვრა და იღვანა ღირსეულად

განათლების მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ქვეყნისა და ოჯახის წინაშე პირნათლად ვალმოხდილი პედაგოგი, დედა, ლექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლალი მიხეილის ასული კობიაშვილი. მისი ცხოვრების გზა ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო მამულს, ენას და სარწმუნოებას, ღირსებასა და პატიოსნებას. ამას ყველა დაგიდასტურებთ, ვინც მას იცნობდა.



მედალზე დაამთავრა თბილისის მე-7 საშუალო სკოლა (მაშინ საჯარო არ ერქვა). ასევე წარჩინებით - დედაუნივერსიტეტის ქართული ენა-ლიტერატურის ფაკულტეტი ენათმეცნიერების განხრით. მისი საყვარელი ლექტორები იყვნენ: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სხვები. როგორც საყვარელი სტუდენტი, ძალიან უყვარდა ვარლამ თოფურიას, მამამედიურად ეპყრობოდა და ენათმეცნიერების სფეროში დააკვალიანა. ლალიმაც იმედები გაუმართლა თავის ძვირფას აღზრდელს. მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა. ყველამ იცის, რა მძიმე და დღეჭირი იყო ომისა და შემდგომი პერიოდი. დედისერთა ბავშვი ღირსეულად აღზარდა კეთილშობილებით მოსილმა დედამ, ქალბატონმა თინათინ სიგუამ.

თინათინი ჟურნალისტების კოლეგა გახლდათ ნაყოფიერად მოღვაწეობდა გამომცემლობა „სამშობლოში“. იყო მეტად აღერსიანი, ტკბილმოუბარი. ეს თვისება შესანიშნავად გამოჰყვა ლალის. ლალის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებულია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (მაშინ პედაგოგიური ინსტიტუტი ერქვა). სტუდენტების საყვარელი ლექტორი იყო. ლალი კობიაშვილმა დისერტაცია დედაუნივერსიტეტში დაიცვა თემაზე: „არჩილ მეფის ენა“, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. მეუღლე ზაურ ბალაშვილი, რომელიც შარშან ივლისში კოვიდ ვირუსმა იმსხვერპლა, ჩინებული მამა და მეოჯახი იყო, ფილოსოფიის დოქტორი, სახელმძღვანელოების ავტორი. ორივემ ორი სახელოვანი შვილი აღუზარდა სამშობლოს: ზურაბ ბალაშვილი, პედაგოგიკის დოქტორია, უნივერსიტეტის ლექტორი და 23-ე საჯარო სკოლის მასწავლებელია, ხოლო ცისანა ბალაშვილი - ცნობილი პედაგოგი და ბიბლიოთეკის ჩინებული სპეციალისტი. რძალი და შვილიშვილიც პედაგოგიური ოჯახის ღირსეული წევრები არიან. დღეიდან ლალი კობიაშვილი ზეციურ ნათელშია. ოჯახის მეგობრების, ნათესავების მხრიდან მუდამ დაუვინყარი იქნები, ლალი! ნათელში იყავი! დაგემშვიდობებით გალაკტიონის ლოცვით: „ვინა თქვა შენი გარდაცვალება, შენ უკვდავების ხარ ბინადარი.“

ბორის მიშველაძე, „სახალხო განათლება“-ის რედაქცია

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თბილისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედაქციის
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიქვიციანი 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეტონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N8 (4607)
21 დეკემბერი / 2022 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113

9 771987 911009